# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 18 აგვისტო 2000 №158 (1180) | ფასი 50 თეთრი


### ჩოლარია ბითაროვს უპასუხებს, ფეხბურთს კი ვერ ითამაშებს

### ვაი ვეასგან



...იბერიელმა ...რსკვლავმა იუბილარ ...რვინს ლამის კოჭები ...აუმტვრია

### რუდი, რუდი!




...უდი ფიოლერმა ...რმანიას ნანატრი ...კრები აჩვენა

### გიორგი მეექვსე



...ანდელაკს ...ფორეიტინგში მეექვსე ...დგილი მიუჩინეს

# დინამიდი

## პოლიცია დინამოში, რატიანი სახლში?

გუშინ საღამოს თბილისის „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა „დინამოს" დაპატიმრებული პრეზიდენტის, მერაბ რატიანის ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა.

დღეს დილიმშივე 12 საათზე პრესკონფერენციას მართავს „დინამოს" ხელმძღვანელობა. მაგრამ ვინ იგულისხმება ხელმძღვანელობაში, გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე, სხვა ვინმე, თუ ორივე ერთად, ძნელი დასაზუსტებელი გამოდგა.

დღესვე 16 საათზე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი განიხილავს მერაბ რატიანის პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხს.

ერთი სიტყვით, დინამოური მოვლენები ისე დინამიურად ჩაიმარცვლა უხილავ კრიალოსანზე, თითქოს ეს გიშრის ასხმულა ერთი პატრონის ხელიდან მეორისაში გადასულიყოს.

ბაზას პოლიციელები იცავენ და ისინი რომ მხოლოდ მავანთათვის თვალისმოსაჭრელად არ დაუპატიჟია „დინამოს", ამაში დარწმუნება ნებისმიერს შეუძლია. ღობის შიგნით მოხვედრა აღარაა ისევე იოლი, როგორიც, ვთქვათ, რამდენიმე თვის წინ იყო. ადრე ხშირად ნახავდით ბაზის ტერიტორიაზე ხალმხრავლობას, რომელიც ყოველთვის არ იყო საქმიანი და გუნდისთვის სასარგებლო. მაგრამ ერთიცაა, ბაზაზე ვეღარ მოხვდება შემთხვევით ჩამვლელი, თორემ ექს-ჩემპიონთა ვარჯიშის პარალელურად ფეხბურთის ვეტერანები ისევ აგრძელებენ უკვე გაფუჭებულ, საყოველთაოდ საფარზე საკუთარი ჭიის გახარებას.

ვარჯიშამდე კი ფეხბურთელები დემონსტრაციულად ცდილობენ საპრესკონფერენციო დარბაზის გვერდით ხმაურით ჩავლას, მის ფანჯრებში მოურიდებლად ჭვრეტას და „ამის და იმის შვილი ვიყოს" ყოვლად უკონტექსტოდ მტკიცებას.

მტკიცება იქით იყოს და, ჭორად არა ერთ ვერსიას მოკრავთ ყურს. ამბობენ, ხვალიდან „დინამოს" ახალი პრეზიდენტი ეყოლებაო. ერთნი ამბობენ, თვითონ რევაზ არველაძეო, მეორენი — შოთა გორგოძეო, მესამენი — 10-10 პროცენტის მოწილე შსს და მერაბ ჟორდანია „დინამოს" გაიყოფენო.

ამ ყოველივედან საფსებით შესაძლებელია დაასკვნა, რომ დღეს დილით „დინამოს" ხელახლა დაფუძნების თაობაზე გამოცხადდება, ნაშუადღევს კი აქამდე უკანონოდ დატუსაღებულ კლუბის პრეზიდენტსაც გაათავისუფლებენ.

ყოველ შემთხვევაში, რატიანის ადვოკატის საუბრიდან ჩანს, რომ მართლმსაჯულებას არ გააჩნია მის დასაკავებლად საკმარისი მტკიცებულებები და თუკი ამის აუცილებლობაც აღარ იქნა...

ერთი სიტყვით, ვნახოთ! ეგებ, ყველაფერი მართლაც ჭორია და ასრულება არ უწერია.

იხილეთ მეორე გვერდი



გურამ [illegible] ფოტო

მერაბ რატიანი დღეს ისევ წარუდგება სასამართლოს

# დინამიდი

## პოლიცია დინამოში, რატიანი სახლში?

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

— გრძელდება მერაბ რატიანის უკანონო პატიმრობაში ყოფნა. დღეს უკვე 29-ე დღეა, რაც ის დაპატიმრებულია. მოგეხსენებათ, რატიანი 2000 წლის 20 ივლისს დააკავეს.

— ადრეც აღვნიშნე და ერთხელაც გავიმეორებ, მერაბ რატიანის ეჭვმიტანილად დაკავების საფუძვლად გამოძიება აცხადებს იმას, რომ მან ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამით გამომძიებელმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის და ასევე საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნა უდანაშაულობის პრეზუმპციის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება სასამართლოს განაჩენით. ფაქტობრივად დაირღვა მერაბ რატიანის უდანაშაულობის პრეზუმპცია, ანუ ადამიანის კონსტიტუციური უფლებები.

— კანონსა და საპროცესო კოდექსში ამომწურავადაა ჩამოთვლილი პიროვნების დაპატიმრების საფუძვლები:

თუ პიროვნებას წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას ან შემდეგ;

თუ თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულიც მიუთითებს, რომ პიროვნებამ ჩაიდინა დანაშაული;

თუ პიროვნებაზე ან მის სამოსზე აღინიშნება დანაშაულის აშკარა კვალი;

თუ პიროვნება დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, ხოლო დაზარალებულმა დაკავების შემდგომ ამოიცნო;

ასევე, თუ პირის მიმართ გამოცხადებულია ძებნა გამომძიებლის მოტივირებული დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით, ყველა ამ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანო უფლებამოსილია, დააკავოს პიროვნება ეჭვმიტანილის სახით.

— კანონი დამატებით იმ შემთხვევებში უშვებს ეჭვმიტანილი პირის დაკავებას, როდესაც არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, ან ცდილობს გაქცევას, ან არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ანაც დადგენილი არაა მისი ვინაობა.

— მერაბ რატიანის დასაკავებლად გამოძიებას არც ერთი მსგავსი საფუძველი არ ჰქონდა და მიუხედავად ამისა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება — წინასწარი პატიმრობა, რომელიც გავასაჩივრეთ საოლქო სასამართლოში. საოლქო სასამართლოში დაუსაბუთებელი უარი გვითხრეს აღკვეთის ღონისძიების გაუქმებაზე. ფაქტობრივად საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე იური გაბისონიამ ხელი შეუწყო გამოძიებას მერაბ რატიანის უკანონო პატიმრობის გაგრძელებაში.

— ბრალი საერთოდ დაუსაბუთებელია. მერაბ რატიანს ბრალს დებენ „თბს ბანკიდან" გამოტანილი 400-ათასდოლარიანი კრედიტიდან 77 ათასი ლარის მითვისებაში, რისი არანაირი მტკიცებაც გამოძიებას არ მოეპოვება.

— ამ 400 ათასი დოლარიდან 77 ათასი ლარი რატიანს შეტენილი აქვს „დინამოს" სალაროში, რაც კლუბის მთავარმა ბუღალტერმაც დაადასტურა, მაგრამ სასამართლომ ამ ფაქტს არანაირი ყურადღება არ მიაქცია.

— რაც შეეხება გიორგი დემეტრაძის „ალანიაში" ტრანსფერთან დაკავშირებულ 400 ათას დოლარს, გამოძიების მოპოვებული ქვითარი არ არის ის დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება პიროვნებას ბრალი დასდო. ამ ქვითარში არც თარიღია აღნიშნული და არც ის, თუ რისთვის მოხდა თანხის გადახდა.



მერაბ რატიანის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი: ეს ქვითარი ფარატინა ქაღალდია!

— რატიანი დააკავეს „ალანიის" პრეზიდენტ ბათრაზ ბითაროვის ჩვენების საფუძველზე, სადაც ის აღნიშნავდა, თითქოს მერაბს 400 ათასი დოლარი გადასცეს.

— ჩვენ მოვიპოვეთ მტკიცებულებები. ბატონმა ბათრაზ ბითაროვმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მოსწერა წერილი, სადაც აღნიშნავდა, რომ „დინამოს" და „ალანიას" შორის კარგი ურთიერთობა იყო და არასდროს არსებულა ამ კლუბებს შორის საფინანსო პრობლემები, მათ შორის არც დემეტრაძის ტრანსფერთან დაკავშირებით.

— ბითაროვი აღნიშნავს, რომ დემეტრაძის ტრანსფერი 720 ათას დოლარად იყო შეფასებულ-გაფორმებული.

— ამასთანავე ბითაროვი განმარტავს: საქმეს ცოტა ზერელედ მოვეკიდე, ჩვენება ისე მივეცი, საბუღალტრო დოკუმენტაციისთვის არ გადამიხედავს, მაგრამ როცა ცნობილი გახდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მერაბ რატიანი ჩემი ჩვენების საფუძველზე დააკავა, დოკუმენტებს გავეცანი და დავრწმუნდი, რომ ფაქტობრივად მხოლოდ 320 ათასი დოლარია გადახდილი. სატრანსფერო თანხის შეკვეცის მიზეზი ის გახდა, რომ „ალანიასთან" კონტრაქტის დამთავრებამდე 6 თვით ადრე ფიფას წესების დაცვით გიორგი დემეტრაძემ პირადი ხელშეკრულება გააფორმა კიევის „დინამოსთან". ამიტომ 1999 წლის 10 ნოემბერს შედგა წერილი, რომლითაც „ალანია" და „დინამო" შეთანხმდნენ, დემეტრაძის თაობაზე ერთმანეთის მიმართ არავითარი პრეტენზია არ ჰქონოდათ და დარჩენილი 400 ათასი დოლარი აღარ გადაგვიხდიაო.

— ამ წერილმა, რომელიც ბითაროვმა საქართველოს შსს მინისტრთა და გენერალურ პროკურორს გამოუგზავნა, მოგვცა საფუძველი, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოსთვის მიგვემართა, გადაესინჯა ბრძანება მერაბ რატიანის აღკვეთის ღონისძიებების შესახებ.

— ზემოთ თქმულთან დაკავშირებით 18 აგვისტოს, 16 საათზე, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ კიდევ უნდა განიხილოს აღკვეთის ღონისძიების საკითხი.

— რაც შეეხება გამოძიებას, ის კვლავ მიმდინარეობს და კვლავ ტენდენციურად, რადგან საქმეს იძიებს ის უწყება, რომელიც აღნიშნული საქმით დაინტერესებულია. რესპუბლიკურ-სპორტულ კლუბ „დინამოს" დამფუძნებლები, რომელიც თავის მხრივ შპს ს.კ. თბილისის „დინამოს" დამფუძნებელია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები არიან.

— კლუბის საპატიო თავმჯდომარეა ბატონი კახა თარგამაძე. მის გარდა დამფუძნებლები არიან: ჯემალ მიქელაძე, ვასილ დავითაია, დავით კობახიძე, რობინზონ თუშურაშვილი, რევაზ მაჭავარიანი, ელგუჯა ახალაძე და სხვები.

— აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ შსს დაინტერესებული მხარეა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 10დღის წინ ალვძარით შუამდგომლობა, შსს საგამოძიებო დეპარტამენტს ჩამოერთმეოდა აღნიშნული საქმე და იგი გენერალურ პროკურატურას დაქვემდებარებოდა.

— მართალია, არც საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოირჩევა ობიექტურობით, მაგრამ მაინც დავაყენეთ ეს საკითხი. აცილების საფუძველიც 100-პროცენტიანია, მაგრამ დღეს რამაზ ჟღენტისგან და სახელმწიფო ბრალმდებელ ლაზარე სეხნიაშვილისგან, მივიღეთ პასუხი, რომ აცილებაზე უარი გვითხრეს. ისევ დაუსაბუთებელი უარი.

— მიუხედავად ტენდენციურობისა, მაინც ვფიქრობ, რაკი მერაბ რატიანის დაპატიმრების არანაირი საფუძველი არ არსებობს, ის დღეს უნდა გაათავისუფლონ.

*ზურაბ როსტიაშვილის ვრცელი მონოლოგი აქ შეწყდა და ამის შემდეგ მან ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა.*

***— თქვენ საოლქო სასამართლოსაც იგივე არგუმენტები წარუდგინეთ, მაგრამ მოსამართლემ ისინი არ გაითვალისწინა. ახლაც იგივე ხომ არ განმეორდება?***

— საოლქო სასამართლოს დადგენილება დაუსაბუთებელი იყო. როცა ჩვენ ბათრაზ ბითაროვის წერილი წარვადგინეთ, მოსამართლემ იმის მაგივრად, რომ ადვოკატის, ბრალდებულის და მისი მხარის დოკუმენტი მტკიცებულებად მიეღო, საკუთარ დაუსაბუთებელ დადგენილებაში აღნიშნა, დოკუმენტი დამატებით შემოწმებას საჭიროებსო.

— სამაგიეროდ, მტკიცებულებად მიიღო შსს ოპერატიული სამსახურის უფროსის კაჭკაჭიშვილის მიერ შსს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსისთვის გაგზავნილი ოპერატიული ინფორმაცია, თითქოს მერაბ რატიანი გაქცევას აპირებდა. რატიანს რომ გაქცევა სდომოდა, ის რიყეზე რესტორანში კი არა, თვითმფრინავში იჯდებოდა.

— დაირღვა საპროცესო კანონი, ვინაიდან საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნულია, რომ საქმის მასალები დანომრილი და აკინძული უნდა წარედგინოს აღკვეთის ღონისძიების განმხილველ მოსამართლეს. კანონში მითითებულია, რომ ოპერატიული მონაცემის წარდგენა დაუშვებელია.

— გამორიცხული არაფერია, რადგან ერთხელაც აღვნიშნავ, საქმის მასალები დანომრილი, აკინძული და ზონარგაყრილი უნდა წარედგინოს მოსამართლეს. მერაბ რატიანი კი 20 ივლისს დააპატიმრეს, 22 ივლისს წარუდგინეს კრწანის-მთაწმინდის სასამართლოს თავმჯდომარე სონღულაშვილს აღკვეთის ღონისძიების საკითხი განსახილველად, 23 ივლისს მამუკა სონღულაშვილმა განიხილა საკითხი აღკვეთის ღონისძიების — პატიმრობის გამოყენების შესახებ, მაგრამ მაშინაც კი ის ოპერატიული ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ. ეს მხოლოდ 28-ში გააკეთეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტი შემდგომ შეიქმნა.

— საოლქო სასამართლოს მოსამართლე იური გაბისონიამ, განა არ იცის, რომ ეს დოკუმენტი საქმეში დანომრილი, აკინძული და ზონარგაყრილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან არც ჰკითხა გამომძიებელს ან პროკურორს, რატომ არ წარმოადგინეს 28 ივლისამდე ეს დოკუმენტი.

— კიდევ მინდა აღვნიშნო, ის ქვითარი, რომლითაც მერაბ რატიანს წარუდგინეს ბრალი 400 ათასი დოლარის მითვისებაში, არ არის ის დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება პიროვნებას ბრალი დასდო. კანონის მე-40 მუხლში აღნიშნულია: ბრალის წაყენების დადგენილება, განაჩენი და სხვ... შემაჯამებელი დოკუმენტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებას. ეს ქვითარი კი არაა ასეთი მტკიცებულება, რადგან ამ 400 ათას დოლარზე არ არსებობს ისე... თივე გასავლის ორდერი, როგორიც დანარჩენ 320 ათას დოლარზეა. მასში არც ისაა აღნიშნული, რის გამო ან როდის გადაუხადეს ეს თანხა მერაბ რატიანს.

***— თუკი ორივე ბრალდება უსაფუძვლოა, რატომღაა მერაბ რატიანი დაკავებული. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რატიანს ყველა შემთხვევაში „ჩაჯდომა" მოუწევს?***

— არა მგონია. და ამის საფუძველს მოსამართლე მამუკა სონღულაშვილის საქციელი მაძლევს. მან კატეგორიულად დაუსვა საკითხი გამოძიებას, რომ 1 სექტემბრამდე მოეპოვებინათ ნამდვილი მტკიცებულებები, გასავლის ორდერი, კრიტიკულად დაეკითხათ ბათრაზ ბითაროვი და წარედგინათ ეს მასალები, ხოლო თუ მათ ვერ მოიპოვებთ, მაშინ შუამდგომლობით შე... დით აღკვეთის ღონისძიების შეცვლა... ზეო.

***— ვინ აწერს ხელს „ალანიის" მხ... რიდან 1999 წლის 10 ნოემბერს გაფო... რმებულ ხელშეკრულებას?***

— ოსური მხრიდან „ალანიის" გე... ნერალური დირექტორი ბათრაზ ბითა... როვი, „დინამოს" მხრივ კი მერაბ რა... ტიანი. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ხელშეკრულება დადებულია ორ ეტა... პად. პირველად 320 ათასზე იყო, ხო... ლო შემდეგ გაერთიანდა და დაიდ... 720 ათას დოლარზე, მაგრამ რაკი დე... მეტრაძემ ნაადრევად გააფორმა კონტ... რაქტი კიევის „დინამოსთან", დარჩე... ნილი 400 ათასი დოლარი აღარ გად... უხდიათ.

***— საუბრის დასაწყისში ბრძანე... რომ ბითაროვმა შსს-ს მცდარი ჩვენ... ბა საბუღალტრო მასალების გაუცნ... ბლად მისცა. მაგრამ რა გაცნობა სჭ... რდებოდა მას, თუკი ხელშეკრულებ... ზე თავად ჰქონდა ხელი მოწერილი...***

— ერთი მხრივ სწორი კითხვ... ჩნდება აზრი, ახსოვდა თუ არა მა... 400 ათასის გადაუხდელობა, მაგრა... იმდენი კონტრაქტი იდება „ალანია... და სხვა კლუბებს შორის, შესაძლ... ლია, არც ხსომებოდა. 400 ათასი დო... ლარი არ არის 4 ათასი, რომ გაატა... პიროვნებას და არ აღნიშნო, როდ... მიეცი და რისთვის.

***— მაგრამ არც ის თანხაა, რომე... ლიც შეიძლება არ გახსოვდეს, გად... ხადე თუ არა.***

— გეთანხმებით, მაგრამ აქ ერთ... გარემოებაა. 320 ათასი „ალანიამ" ეტ... პობრივად გადაიხადა — ჯერ 100 ათა... სი, მერე 70 ათასი, ერთხელაც ... ათასი. აქედან გამომდინარე, გამორი... ხული არაა, რომ მან შეაჯამა და თქ... 400 ათასი გადავიხადეო.

***— გამოდის, ბითაროვმა ელემენტ... რული არითმეტიკაც არ იცის, მით უ... ტეს, რომ თქვენს მიერ დასახელებ... ლი თანხის ჯამი მხოლოდ 300 ათა... დოლარია...***

— ეტყობა, არ დაუფიქრდა.

***— როგორი თქვენი აზრი „დინამ... საკოორდინაციო საბჭოს თაობაზე, ს... აც ახლად ირკვევა რომ გუნდის ე... ერთი დამფუძნებლის, 80 პროცენტ... მფლობელის ნებართვის გარეშე კლ... ახალ ხელმძღვანელობას ირჩევს. ხ... არ ჰქონია რატიანს საუბარი იმაზე... ვინ იქნება მისი წარმომადგენელი „დ... ნამოში".***

— „ბერმუხას" ჰყავს საკუთარი ი... რისტი და ამ საქმეს ის მოაგვარებს. ... მე მომმართავენ, ცხადია, სიამოვნებ... დავეხმარები.

***— საბოლოოდ რას ელით. დააკმ... ოფილებენ თქვენს შუამდგომლობას...***

— იმედი მაქვს, 16 საათზე დაწყ... ული სასამართლო ისე მორჩება, ... საათისთვის მერაბ რატიანი უკვე ... იქნება.

**ვახტანგ ბზიკ...**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
○ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
○ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
○ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56; 8 99 10 71 09

სარბიელელები სამძიმარს გუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს ზურაბ მეძველიას მამის გოგი მეძველიას გარდაცვალების გამო

# ჩოლარია ბითაროვს უპასუხებს, ფეხბურთს კი ვერ ითამაშებს

გუშინდელ „სარბიელში" დაიბეჭდა „სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნებული ინტერვიუ ვლადიკავკაზის „ალანიას" გენერალურ დირექტორ ბათრაზ ბითაროვთან. იგი სკანდალით იმუქრება, ქართველი ფეხბურთელების, მიხეილ აშვეთიასა და მამუკა წერეთლის დისკვალიფიკაციას მოითხოვს. ამ ინტერვიუში თითოოროლა „ტკბილი" სიტყვა ბითაროვმა ს.კ. „დინამოს" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მისამართითაც გაიმეტა. ცხადია, საინტერესო იყო სფფ-ის პოზიციაც. ამიტომაც შევხვდით გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას, რომელთანაც ზემოთ ნახსენების გარდა კარსმომდგარ ჩემპიონატსა და სხვა საკითხებზეც ვისაუბრეთ.



ვალერი ჩოლარია

— უაღრესად გაოცებული დავრჩი „ალანაის" გენერალური მდივნის ინტერვიუთი.

**— კონკრეტულად რამ გაგაოცათ?**

— მოდით, ეს ინტერვიუ ორ ნაწილად განვიხილოთ. პირველი ნაწილი ფეხბურთელებს — აშვეთიას და წერეთელს შეეხება, მეორე კი „დინამოს" თუ სფფ-ის (წესიერად ეს ბითაროვსაც ვერ დაუდგენია) ლანძღვას. მე „დინამოს" სახელით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ფედერაციის პოზიციას მკაფიოდ წარმოვაჩენ.

ბითაროვი ამბობს, რომ ამ ფეხბურთელებს „ალანიასთან" არ დასრულებიათ კონტრაქტი. თუ ეს ასეა, აშვეთიას და წერეთელს ლობჟანიძე-კიკნაძის ბედი ელით და დისკვალიფიკაცია მართლაც არ ასცდებათ...

**— ამ კონტრაქტების პირობებს არ გასცნობიხართ?**

— რა უფლება მქონდა, ეს არის ორ კლუბს შორის შეთანხმება, სადაც ფედერაციას ჩარევის უფლება არა აქვს. ჩვენი როლი მხოლოდ ესაა: როდესაც სხვა ქვეყნის ფედერაციიდან მოდის მოთხოვნა ამა თუ იმ ფეხბურთელზე ტრანსფერის გაცემის შესახებ, ჩვენ ვხვდებით იმ ფეხბურთელის კლუბის თავკაცს, ვაცნობთ მოთხოვნას და თუ თანხმობას მივიღებთ, ფეხბურთელზე ტრანსფერს გავცემთ. აქ მთავრდება ჩვენი მისია. დანარჩენი უკვე კლუბების გადასაწყვეტია. მათ საქმიანობაში კი ფედერაციას ჩარევის უფლება არა აქვს. არც ჩავრეულვართ და არც მომავალში ჩავერევით. წესით და რიგით, ეს ბითაროვმა მშვენივრად უნდა იცოდეს, მაგრამ ეტყობა, რა დონის ხელმძღვანელიც არის.

**— ბითაროვთან თუ გქონიათ რაიმე ურთიერთობა?**

— საერთოდ არ ვიცნობ მას. რა ურთიერთობა უნდა მქონდეს უცხოური კლუბის ხელმძღვანელთან. ჩვენ მშვენივრად ვთანამშრომლობთ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასთან, ბითაროვს კი ბევრი ანბანური ჭეშმარიტება ვერ შეუგნია, თუ „დინამოს" უკმაყოფილოა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნუ ახსენებს.

**— პირადად თუ აპირებთ მასთან საუბარს?**

— ამის არანაირი სურვილი არ მაქვს. სფფ-ის პოზიციას ამ ფაქტთან დაკავშირებით „სპორტ-ექსპრესის" ფურცლებზეც დავაფიქსირებთ...

**— ბითაროვი ბრალს გდებთ, რომ კიკნაძისა და ანჩაბაძის ტრანსფერები დროზე არ გაეცით...**

— აგერ, ბატონო, თქვენ თვითონ დარწმუნდით ყველაფერში...

*ჩოლარიამ სქელი საქაღალდე გადაშალა და იქიდან გიორგი ანჩაბაძის ტრანსფერის „ალანიაში" გაგზავნის საბუთი ამოიღო. იგი 22 მარტითაა დათარიღებული, იმ დროს კი ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა პრობლემას არ წარმოადგენდა და წესით და რიგით, „ალანიას" წინააღმდეგობები არ უნდა შეხვედროდა.*

— ...ხომ ხედავთ ანჩაბაძის ტრანსფერი მოთხოვნისთანავე გავაგზავნეთ, რა პრობლემა გამოუჩნდათ ვლადიკავკაზელებს ამის მერე, ამაზე ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება კიკნაძის ტრანსფერს, იგი არ გამიგზავნია და ვერც გავაგზავნიდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ფეხბურთელზე არანაირი უფლება არ გვაქვს. კიკნაძე „სამსუნსფორს" ეკუთვნის, სწორედ ამ კლუბმა მისცა დისკვალიფიკაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ფეხბურთელის მსურველმა გუნდმა თურქებს 90 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს. წესით ესეც მშვენივრად უნდა სცოდნოდა ბითაროვს და „სამსუნსფორს" უნდა დალაპარაკებოდა...

**— ეროვნულმა ნაკრებმა ესტონელებთან მარცხს ირანის სარეზერვო ნაკრებთან სამარცხვინო წაგება მიაყოლა...**

— რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ასეა...

**— ფედერაციის მუშაობა კი საბოლოო ჯამში მაინც ეროვნული ნაკრების მიერ მიღწეული შედეგებით ფასდება...**

— დიახ, ასეა და სწორედ ეს მტკენს გულს. მითხარით, როგორ მოვიქცეთ, ნაკრებისთვის, რაც შეგვიძლია, ვაკეთებთ. ფორმით შევმოსეთ, კვიპროსის ტურნირზე გავაგზავნეთ, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ესტონეთთან, ირანთან ამხანაგურად ვათამაშეთ. ნაკრების ორივე მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატს დავასწრით. ფინანსურად უკან არაფერზე ვიხევთ. ძოძუაშვილი ლიტვის ნაკრების პირველ თამაშზე მივავლინეთ, ორივე მწვრთნელს უეფას კურსებზე გავუშვებთ, ნაკრებს სამი დღით ადრე გავამგზავრებთ ლიტვაში ჩარტერული რეისით, იქიდან იტალიაში გადავაფრენთ, პირველ მატჩამდე შეკრებას ადგილზეც მოვუწყობთ, გეკითხებით, მეტი რა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, ფეხბურთს მე ხომ არ ვითამაშებ?

**— პრემიები გამოგრჩათ, არც ისე ცოტა თანხაა, დავუშვათ, ნაკრებმა ორივე მატჩი მოიგო, რა საშუალებებით გადაიხდით პრემიებს?**

— თანხა გამოიძებნება, პრობლემა არაა, „ტელესპორტთან" ამასწინათ დადებულ ხელშეკრულებაში პარტნიორებს გარკვეული ცვლილებები გავაკეთებინეთ, „ტელესპორტი" დამატებით თანხებსაც გაიღებს, ეს თანხა კი სრულად ეყოფა ნაკრების პრემიებს... ასე რომ, ნეტავ გუნდმა ორივე მატჩი მოიგოს, ფული ყოველთვის გამოინახება, ისე, ბევრი მეუბნება, რომ დიდი პრემიები დავაწესეთ. საქმისთვის უკან არ დავიხევთ, მაგრამ ფული ვერ ითამაშებს ფეხბურთს, ფეხბურთს პატრიოტი, პროფესიონალი და საკუთარი ღირსების მქონე პიროვნებები თამაშობენ.

**— და მაინც ნაკრები ვერ თამაშობს.**

— სფფ-ის სათავეში ჩვენი მოსვლის დღიდან უპირველესი საზრუნავი ის იყო, რომ ეროვნული ნაკრებისთვის პრობლემები მოგვეხსნა, ეს შევძელით, მაგრამ ნაკრები მაინც ვერ თამაშობს, მიუხედავად ამისა, იმედს არ ვკარგავთ, ეს მაინც ამხანაგური მატჩები იყო. მჯერა, მწვრთნელები სწორ დასკვნებს გააკეთებენ და ნაკრებიც მოუმატებს თამაშს.

**— 3 სექტემბერს ყაზახეთის ნაკრებთან უწევთ ჩვენებს გაჯიბრება, იმედია, სწორი დასკვნები საამმატჩოდ მოესწრება...**

— ყაზახეთთან თამაშზე ალბათ უარს ვიტყვით, რადგან ლეგიონერების ზედმეტად გამოძახების პრობლემას წავაწყდით, ჯობს ნაკრების ადგილობრივ წევრებს თბილისში მოვუწყოთ შეკრება, საქმეს ესეც სასიკეთოდ წაადგება.

**— შაბათს მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატი იწყება...**

— სანამ ამაზე ვისაუბრებთ, ერთ სიახლეს გეტყვით...

**— ბრძანეთ.**

— უეფას უახლესი გადაწყვეტილებით კლუბების ლიცენზირება იწყება. ეს პროცესი საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივია, უეფამაც ლიცენზირების ბოლო ვადად 2002 წელი დათქვა. არალიცენზირებული გუნდი 2002 წლის ევროტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**— რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს გუნდი, ლიცენზია რომ მიიღოს?**

— საკმაოდ ბევრი პირობაა შესასრულებელი. ერთს გეტყვით, თუ პროცესს ახლავე არ დავიწყებთ, 2002 წლამდე ვერც მოვასწრებთ, ამიტომ საფუძველი ამთავითვე უნდა ჩავყაროთ. მოკლედ რომ აგიხსნათ, გუნდებმა უნდა წარმოადგინონ გარკვეული გარანტიები, შემდეგ მოვიწვევთ აუდიტს, იგი აღრიცხავს ყოველივეს და ინფორმაციას მოგვაწვდის, ჩვენი მხრივ ამ ინფორმაციას გადავამუშავებთ და უეფას გავუგზავნით, უეფა კი ევროტურნირების დაწყებამდე ორი კვირით ადრე გადაწყვეტს ლიცენზიის გაცემა-არ გაცემას. ამ პროცესს სოლიდური ფინანსური გარანტიები ჭირდება, ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, ალბათ 5-6 გუნდი თუ შეძლებს ლიცენზირებას და ჩვენც მათზე ვიმუშავებთ, ეს ერთობ მნიშვნელოვანია, ვიმეორებ, ჩემპიონიც რომ გახდეს გუნდი საქართველოში, ლიცენზიის გარეშე 2002 წლის ევროტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**— ბატონო ვალერი, სფფ-ის გადაწყვეტილებამ, საწევრო თანხა გაეზარდა, ზოგი უმაღლესლიგელი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. გეთანხმებით იმაში, რომ უფულო გუნდს უმაღლეს ლიგაში არაფერი ესაქმება, მაგრამ მეთორმეტე ჩემპიონატის კალენდარი უკვე შედგენილია, საწევრო თანხა კი სრულად არ შემოუტანიათ გუნდებს სფფ-ის სალაროში...**

— რა პრობლემაა, ვერ გადაიხდიან, ვერ ითამაშებენ. აგერ, „სამგურალი" რიგში დგას და თუ საჭირო გახდა, შევანაცვლებთ.

**— საწევრო თანხად თავდაპირველად 18 ათასი ლარი დაითქვა, მასზე გუნდებს 4-4 ათასიც უნდა წაემატებინათ. თქვენი გადაწყვეტილებით, ეს ოთხი ათასი, ჯამში 48 ათასი ლარი, სეზონის წინ მსაჯების მომზადებას უნდა მოხმარებოდა. მსაჯებს ჩემპიონატის წინ სრულყოფილი შეკრება არ გაუვლიათ, 4 ათასი ლარი კი მაინც დაემატა საწევრო გადასახადს...**

— მსაჯებს სამდღიანი შეკრება ჰქონდათ თბილისში, თანაც ეს სემინარები, გამოცდები...

**— კი მაგრამ, სამდღიან შეკრებას 48 ათასი რად უნდა?**

— მოდით, სხვაგვარად შევხედოთ საკითხს. გასულ სეზონში მატჩზე მივლინებული მსაჯთა ბრიგადა ჯამში 800 ლარს იღებდა. წლეულს ეს თანხა 1000 ლარამდე გაიზარდა.

რეგიონალურ ლიგაში (წლეულს რომ პირველი ჰქვია) მსაჯები ერთ მატჩში 550 ლარს ღებულობდნენ. ამიერიდან ეს თანხა 800 ლარი გახდა. გარდა ამისა, მეთორმეტე ჩემპიონატში თითოეული ტურის შემდეგ საუკეთესო ბრიგადა პრემიის სახით სოლიდურ თანხას მიიღებს, ახლა გამოთვალეთ, რამდენი ხარჯი გვაქვს მსაჯებზე. ფედერაციის არსებობის წყარო კი გუნდებიდან შემოსული თანხებია. ჩვენ ყველაფერს დავითვლით, არც ერთ თეთრს ზედმეტს არ დავიტოვებთ, რაც შეეხებათ მსაჯებს, მათგან მაქსიმუმს მოვითხოვთ. არც ერთი მსაჯი არ არის სფფ-ის თანამშრომელი, ჩვენ მათ ვთავაზობთ კონტრაქტს, სამუშაოს, ვუხდით ფულს და სანაცვლოდ პროფესიონალიზმს და კეთილსინდისიერებას ვითხოვთ.

**— რამდენი მსაჯი მოემსახურება უმაღლეს ლიგას?**

— გამოცდები 38-მა მსაჯ-ასისტენტმა ჩააბარა. მათგან თორმეტი არბიტრი უმაღლეს და პირველი ლიგის თამაშებს განსჯის, დანარჩენები კი ასისტენტობას გაწევენ.

**— რამდენადაც ვიცი, 38 მსაჯში თამაზ ლაცაბიძე, გურამ ასკაროღლი და სოსო კახიანი ვერ მოხვდნენ, რა მიზეზით არ შესთავაზეთ მათ კონტრაქტები?**

— რად გვინდა ამდენი მსაჯი, როტაცია დავიწყეთ, დროა, სარბიელი ახალგაზრდებს დავუთმოთ.

**— კი მაგრამ, რაღა მაინცდამაინც ეს სამეული შეარჩიეთ. მსაჯთა კორპუსში სხვა ვეტერანებიც არიან...**

— მათი საკითხი სამსაჯო-საინსპექტორო და საშეჯიბრო კომიტეტების წინადადების საფუძველზე გადავწყვიტეთ, თუმც ასკაროღლის, კახიანს და ლაცაბიძეს რეგიონალური ლიგის მატჩების განსჯა შევთავაზეთ, რას გადაწყვეტენ, ეს მათი საქმეა.

**— ამბობენ, თითქოს მათ გუნდებთან გარიგებაში ადანაშაულებთ...**

— ამ ხმებს არ ვადასტურებ, ასე რომ იყოს, სამივეს დაუყოვნებლივ მოვკვეთდით და რეგიონალურ ლიგაში საქმიანობასაც არ შევთავაზებდით.

**— ჩემპიონატში მსაჯებთან ერთად ალბათ მატჩის ინსპექტორთა რაოდენობაც შემცირდება.**

— დიახ, ასეა. მათ საქმიანობას მკაცრად მივადევნებთ თვალს. ახლაც გამოცდებს ატარებს ანატოლი მილჩენკო, პირველი თვითონ აიღებს ბილეთს და უპასუხებს, შემდეგ სხვების რიგი დადგება. ვინც ვერ ჩააბარებს, თავის გზას ეწევა. ზოგი მირეკავს, როგორ, მეც უნდა ჩავაბარო გამოცდაო? მე მათ ვეუბნები, რომ ეს აუცილებელია, სახელებს არ ვუყურებ, წესი ყველასთვის წესია, ჩვენ პროფესიონალები გვჭირდება.

**— ნოდარ ანდრიაძის სიტყვები მინდა შეგახსენოთ. მისი აზრით, ფედერაციის დღევანდელი ხელისუფლება უკანონოა. თვლით თუ არა, რომ ყრილობა ფიქტიური იყო?**

— ანდრიაძე რომ ამბობს, რუსეთში 61 დელეგატი ირჩევს ფედერაციის პრეზიდენტს, საქართველოში კი 268 და რა საჭიროაო, ვის ეუბნება ამას, ვინ იყო მაშინ ანდრიაძე?

**— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი...**

— მერედა მის ხელში არ იყო ყველაფერი, შეემცირებინა დელეგატთა რაოდენობა.

**— იგი ამბობს, რომ ყრილობაზე არარეგისტრირებულმა დელეგატებმა მიიღეს მონაწილეობა.**

— თვითონ არ მიჰყავდა ყრილობა? ამოეღო ხმა, ეყვირა, რომ ყველაფერი ფიქტიური იყო, რატომ არ გააკეთა ეს?

**— როგორც თვითონ ამბობს, მასზე ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი.**

— კომენტარი არ მიმაჩნია საჭიროდ.

**— კარგით, სახელმწიფო კომისიის ზოგმა წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა „დინამოს" დროებითი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ თქვენი დანიშვნის გამო. მათი აზრით, ფედერაციის ხელმძღვანელს კლუბის საქმიანობაში ჩარევის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რადგან დაინტერესებული პირი გამოდის, ეს კი სხვა კლუბებს ჩრდილს აყენებს...**

— საერთოდ არ მინდა ვინმეს ვუპასუხო ამასთან დაკავშირებით. ვისაც რა უნდა, ის თქვას. თუ მე ვგრძნობ, რომ „დინამოს" დავეხმარები, ვერავინ შემაჩერებს. ამისთვის მე სტატუსი მჭირდებოდა და ყინულიც დაიძრა. სხვათა შორის, არც ერთ კლუბს ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ ხმა არ ამოუღია, პირიქით, „ტორპედოს" პრეზიდენტმა მიხეილ ქორქიამ გადაწყვეტილება მომიწონა, იქნებ რაიმე ეშველოს „დინამოსო". სხვაც ბევრი მეუბნება, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი.

**— მახსოვს, სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ ერთი თვე ითხოვეთ „დინამოში" სიტუაციის გამოსასწორებლად. თუ შეიცვალა ამ მხრივ რამე?**

— გეტყვით, რაც გავაკეთეთ. დაუყოვნებლივ დავსახეთ სამოქმედო გეგმა. სამჯერ შევახვედრეთ ერთმანეთს შპს „ბერმუხა" და სპორტკლუბ „დინამოს" საბჭო. ჩემპიონატის დაწყებამდე მეოთხე შეხვედრაც შედგება, მჯერა, საბოლოო და იქნებ არცკი გახდეს საჭირო კლუბის ტენდერზე გატანა. წარმატებით ვაწარმოეთ მოლაპარაკება ს.კ. „მრეტებთან". დიდი დახმარება გაგვიწია ამ კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აკა ქავთარაძემ, ისიც ძალიან არის დაინტერესებული „დინამოს" ბედით და მისი ძალისხმევით „მრეტები" სოლიდურ შეღავათზე წავიდა. ამ კლუბის ხელმძღვანელობამ „დინამოს" სამთვიანი გრაფიკი დაუწესა ვალის დასაფარად. სექტემბრის ბოლომდე „მრეტები" 50 ათას დოლარს მიიღებს, ოქტომბერში 150 ათას დოლარს, ნოემბრის ბოლომდე კი „დინამო" დარჩენილ 100 ათას დოლარსაც გადაიხდის.

**— დავუშვათ, „ბერმუხა" და „დინამოს" საბჭო ვერ შეთანხმდნენ, ასეთ შემთხვევაში ტენდერი გარდაუვალია. ამ მხრივ თუ გაქვთ რამე რეზერვი?**

— რა თქმა უნდა. მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ამერიკულ „ბარენც ჯგუფთან." ტენდერისთვისაც ყველაფერი მზად არის. დარწმუნებული ვარ, მისი გამოცხადების შემთხვევაში „დინამოს" მოსურნე ორგანიზაციის პრობლემა არ იქნება.

**— ტენდერისთვის ალბათ გარკვეულ პირობებსაც შეიმუშავებდით...**

— ჩვენი პირველი პირობა ისაა, რომ „დინამოს" მომავალმა მფლობელმა უნდა გადაიხადოს კლუბის ყველა ვალი. უნდა წარადგინოს კლუბის შესანახად საჭირო თანხის ფლობის დამადასტურებელი საბუთი, გარანტად რომელიმე სოლიდური ბანკი უნდა დაუდგეს. გარდა ამისა, გარანტია უნდა მოგვცეს, რომ „დინამოს" ევროსარბიელზე გასვლის შემთხვევაში ფინანსური პრობლემა არ შეაწუხებს. ახალი მფლობელისგან მოვითხოვთ აგრეთვე ბაზის მოდერნიზაციასაც.

**— საკოორდინაციო საბჭო მაინც დროებითია, როდის დაასრულებს იგი მუშაობას?**

— ძალიან მინდა, რომ ეს ჩემპიონატის დაწყებამდე მოხდეს და ეჭვიც არ მეპარება, ასეც იქნება.

**ბაატა ძგანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დინამოელები პაატა ჯინჭარაძე, კობა წიტაიშვილი და ლევან მიქაძე შარშან ჩემპიონობას „ბერიკონში" აღნიშნავდნენ

ბადრი ძოთოლაძის ფოტო

# ბერიკონიდან სარბენ ბილიკზე

ეს ფოტო შარშან „ბერიკონშია" გადაღებული და ადვილად მიხვდებით, რომ ერთობ საზეიმო სიტუაცია სუფევს დარბაზში. ის დღე მართლაც სადღესასწაულო იყო — „ბერიკონში" X საიუბილეო ჩემპიონატის შედეგები შეჯამდა. შთამბეჭდავ საღამოს ლაიტმოტივად მილოცვები მიჰყვებოდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა — იმ დღეს ჩემპიონატის პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

გავიდა დრო. X ჩემპიონატს XI მოჰყვა. ბუნებრივია, პრიზიორები აქაც იყვნენ. თანაც ჩემპიონი შეიცვალა, პირველობა „ტორპედომ" ირგუნა, „დინამომ" მესამეზე ჩაინაცვლა, ვიცე-ჩემპიონის ტიტული „ვიტ ჯორჯიამ" დაიბევა, მათ საპატიოდ დაჯილდოებას კი არა და არ დაადგა საშველი, „ბერიკონს" ვინ ჩივის, აგერ ახალმა სეზონმაც კარს მოგვიკაკუნა, გუნდები კი დღესაც დაუჯილდოებელნი არიან. როგორც ჩანს, ამაზე სფფ-მაც იფიქრა და მარტივ გამოსავალს მიაგნო (ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ხომ გსმენიათ). XI ეროვნულ ჩემპიონატში თავგამოჩენილები XII ჩემპიონატის დაწყებამდე დაჯილდოვდებიან. შაბათს, პირველი ტურის წინ, სამივე პრიზიორი სარბენ ბილიკებზე მიიღებს კუთვნილი სინჯის მედლებს.

ჩემპიონ „ტორპედოს" ქუთაისში „სიონთან" მატჩის წინ შეხვედრის ინსპექტორი გია ფირცხალავა დააჯილდოებს, გორში („ვიტ ჯორჯია" „დილას" სტუმრობს) ამ საპატიო მისიას ანატოლი მილჩენკო შეასრულებს, ხოლო თსუ-სთან მატჩის წინ მცხეთაში დინამოელებს ბრინჯაოს მედლებს ძველი დინამოელი შოთა ხინჩაგაშვილი გადასცემს.

**ბაატა ძგანტალიანი**

# შგოლო და ქულიანი

**გუშინწინ** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სამზადისში მყოფმა საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრებმა ლიტვის ქალაქ პალანგის საერთაშორისო ტურნირზე პირველი მატჩი გამართა რუს თანატოლებთან. თენგიზ სულაქველიძის, ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის დებიუტი უილბლო გამოდგა, რუსმა თექვსმეტწლამდელებმა 1:0 დაამარცხეს ქართველი თანატოლები.

სულაქველიძის შეგირდებმა მეორე მატჩი გუშინ ითამაშეს მოლდოვასთან. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

ორი ტურის შემდეგ ექვსგუნდა სატურნირო ცხრილს 6 ქულით რუსები ლიდერობენ. მომდევნო ადგილებზე 4-4 ქულით ლიტვის პირველი ნაკრები და მოლდოველები იმყოფებიან. ერთქულიანი ქართველები ბურთების უკეთესი სხვაობით ლატვიელებს უსწრებენ, ბოლო ადგილზე კი ლიტვის მეორე ნაკრებია, რომელიც 1985-წლიანებითაა დაკომპლექტებული.

დღეს ქართველი თექვსმეტწლამდელები მესამე ტურში ლიტვის პირველ ნაკრებს ხვდებიან.

შეგახსენებთ, ტურნირი შვეიცარიული სისტემით ტარდება და 23 აგვისტოს დასრულდება.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ვასო გიგიაძე ტავრიელია

**ქართველ** ლეგიონერთა კორპუსს ერთი მოთამაშეც შეემატა. აქამდე სამტრედიის „იბერიას" წევრი ვასო გიგიაძე სულ მცირე ერთ წელიწადს უკრაინის უმაღლესლიგელ სიმფეროპოლის „ტავრიაში" ითამაშებს.

„ტავრიას" მთავარ მწვრთნელს ვლადისლავ იშჩენკოს სულ რამდენიმე დღე ეყო ვასოს ოსტატობის შესაფასებლად.

— ეს ბიჭი სწრაფია და ტექნიკური, მოედანს კარგად ხედავს, კარზეა დაგეშილი. სწორედ ასეთი თავდამსხმელი გვჭირდება. ტყუპი ძმები გიგიაძეები შარშანდელი იალტური შეკრებიდანაც („იბერიამ" შარშან ზამთარს ყირიმში გაიარა შეკრება — ი.კ.) მახსოვს — უთქვამს იშჩენკოს კლუბის პრეზიდენტისთვის. ამასაც ბევრი აღარ უფიქრია, თავის კოლეგას — „იბერიას" თავკაცს ნუგზარ ნიკოლაიშვილს დაკავშირებია და... გარიგებაც შემდგარა: ვასო გიგიაძე „ტავრიაში" ერთი წლის ვადით იჯარით გადავა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებსო.

ვასომ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ოფიციალურად გატავრიელდა, იგი მეორე ქართველი შეიქნა სიმფეროპოლურ კლუბში ოვენახევრის წინ, მოგეხსენებათ, „ტავრიამ" კოლხი გოჩა ტრაპაიძე აიყვანა.

ვასო გიგიაძის დებიუტი ახალ გუნდში, შესაძლოა, ხვალვე შედგეს. „ტავრია" შინ ხარკოვის „მეტალისტს" ეთამაშება.

„ტავრია" ვასოსთვის მეხუთე გუნდი იქნება. აქამდე მას ქუთაისურ „რწმენაში", „ტორპედოში", „იბერიაში", „დინამოში" და ისევ „იბერიაში" უთამაშია. ეს ოფიციალურ დონეზე. უკრაინულ კლუბში მისვლამდე ფეხბურთელი ჯერ ქუთაისის „ტორპედოში" ვარჯიშობდა, მერე რუსულ გუნდებში მოსკოვის „ტორპედოში" და „ტორპედო ზილში" იყო გასინჯვაზე. სიმფეროპოლში კი სამარიდან წაიყვანა ქართველი „ტავრიას" პრეზიდენტმა.

ერთი სიტყვით, ვასომ გზა მონახა, ამ ეტაპზე „ტავრია" ყოფილა მისი ბედი. ბუნებრივია, მკითხველს ვასოს ტყუპისცალის სოსოს ამბავიც დააინტერესებს. ადრე ვწერდით, სოსო გიგიაძე, რომელიც ორი კვირის წინ დასცილდა ძმას, ეროვნულ ჩემპიონატში „იბერიას" შემადგენლობაში თამაშზე უარს აცხადებსო. სიტუაცია შეიცვალა. სოსოს სამტრედიულ კლუბში ორი თვე მაინც მოუწევს დარჩენა, მერე კი ისიც სიმფეროპოლს მიაშურებს. სოსო გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგაა დაბარებული „ტავრიაში".

**იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან**

საფეხბურთო კლუბი გორის „დილა"
იუწყება, რომ გარდაიცვალა
გუნდის ყოფილი ფეხბურთელი
მახარე მინდიაშვილი
და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** დავით ყიფიანი | სომხიშვილი (მილანი), მაღლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი, გრ. ჭანტურია (თავისუფალი აგენტი), მეგრელაძე, (ტრანსფერზეა) | გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), სტურუა (სამგურალი) | სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0, თსუ 1:0, დილა 4:0, 2:0, ბათუმი 1:0 |
| **ვიტ ჯორჯია** სერგო კოტრიკაძე | მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი) | სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), ჭილაძე (ს.ა. იბერია) | თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, პაილიგენჰაფენი (რვავე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1, ბეითარი (ისრაელი) 0:3 |
| **დინამო** რევაზ არველაძე | ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი), ხუციშვილი (?) | აშვეთია (ალანია, რუსეთი), კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩივაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა) | შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 2:0 |
| **ბათუმი** ჯანი კარნევალი | მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?) | ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მჟავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1, ტორპედო 0:1 |
| **კოლხეთი** გია ტყებუჩავა | ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (ურალანი, რუსეთი), ე. გვასალია (ტრანსფერზეა) | მაღლაკელიძე (ტორპედო), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), ფრანგიშვილი (სამგურალი), ჭანტურიძე (ცხუმი), კრასოვსკი, თედეევი, გ. ჭანტურია, ლეჟავა (კოლხეთი 2) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1 |
| **სიონი** სპარტაკ არჩვაძე | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2, სამგურალი 2:4 |
| **იბერია** სოსო ფრუიძე | ვ. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა), გ. დოლიძე (გურია), ი. გიგიაძე (?) | | სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი, რუსეთი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2 |
| **დილა** მერაბ ხუციშვილი | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა), რ. ხაჭაპურიძე (?); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი) | ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ევგოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | ტორპედო 0:4, 0:2 ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4 |
| **მერანი** სერგო გაბელაია | ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი) | მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1 |
| **ლოკომოტივი** რევაზ ძოძუაშვილი | ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰ.ბეით შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯულელი (?, კვიპროსიან ისრაელი), ნიკურაძე (გორდა), რ. ონიანი (?) | გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონდაძე (სამგურალი) | გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2, სლოვანი (სლოვაკეთი) 0:2, საქართველოს ეროვნული ნაკრები 2:2 |
| **თსუ** თენგიზ კაცია | მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?) | მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა), გ. ხიზანიშვილი (აკადემია) | ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2, ტორპედო 0:1, სამგურალი 1:2 |
| **გორდა** იასონ ალადაშვილი | გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი) | ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# რა ახლოს იყო: ბუენოს აირესში — სირცხვილი, ლიმაში — ფრე-სასწაული



არგენტინა — პარაგვაი 1:1. ტორო აკუნიას (№10) გოლმა არგენტინელები გამოაფხიზლა

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი**

## ს. ამერიკა

VII ტური

### არგენტინა 1:1 პარაგვაი

0:1 ტორო აკუნია (61), 1:1 აიმარი (67)
არგენტინა: ბონანო, სენსინი, რ. აიალა, სამუელი, ვერონი, სიმეონე (ვიეასი 73), აიმარი, კილი გონსალესი (სორინი 46), ორტეგა, კრესპო, გუსტავო ლოპესი (სავიოლა 77)
მწვრთნელი: მარსელო ბიელსა
პარაგვაი: ტავარელი, სარაბია, ს. აიალა, გამარა, კანისა, სტრუვაი (კინტანა 78), ესტეჩე ენსისო, ტორო აკუნია, სანტა კრუზი (ხორხე კამპოსი 57), ხ. კარდოზო (ბენიტესი 80)
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
მსაჯი: ანტონიო პერეირა (ბრაზილია)
50 000 მაყურებელი

ბუენოს აირესული მატჩის მიმოხილვამდე ერთი დღით ადრე გამართული ჩილე — ბრაზილიის შეხვედრა გავიხსენოთ, რადგან ეს ორი თამაში ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. მსგავსებაში კი აი, რას ვგულისხმობთ, ბრაზილიამაც და არგენტინამაც ბლომად რეალური საგოლე მომენტები შექმნეს, მათი გამოყენებისა კი რა მოგახსენოთ. ჩილე და პარაგვაი იშვიათად უტევდნენ, მაგრამ სარგებელი მეტი ნახეს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩილელთა ოთხად ოთხი იერიში ბრაზილიელთა კარის სამჯერ აღებით დასრულდა.

როგორც ვთქვით, ასე იყო ახლაც, არგენტინა მეტწილად უტევდა. სტუმრები კი ძირითადად თავს იცავდნენ და იშვიათი კონტრშეტევებით ცდილობდნენ სასურველი შედეგის მიღწევას.

დისკვალიფიკაციის გამო პარაგვაელებს თავისი სახელოვანი კაპიტანი ხოსე ლუის ჩილავერტი აკლდათ. კარის დაცვა ნაკლებად გამოცდილმა რიკარდო ტავარელიმ ითავა და არგენტინელებს საქმე თითქოს უნდა გაიოლებოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. პირველი ტაიმი ისე მიილია, ტავარელის [illegible] ბურთის მოგერიება არ დასჭირვებია, რადგან სტუმართა დაცვა არგენტინელთა იერიშებს კარგად უმკლავდებოდა.

შესვენების შემდეგ პარაგვაელთა უკანა ხაზში რაღაც ნაპრალები გაჩნდა, რამაც მასპინძელთა შეტევებს მეტი სიმწვავე მისცა, მაგრამ... ასეთი ეპიზოდი იყო, ხუან სებასტიან ვერონმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა. ბურთი ძელს მოხვდა და ვალტერ სამუელს მიუვიდა. ახლა წარმოიდგინეთ, დგახართ კარიდან ორ მეტრში და წინ არავინ გეღობებათ. ამ დროს მიიღეთ ბურთი, რას აკეთებთ? ცხადია, ურტყამთ და გოლი გაგაქვთ. ყველაფერი სწორია, მაგრამ ის, რასაც თქვენ გააკეთებდით, ვილტერ სამუელმა ვერ შეძლო, ბურთის გასწორება-დამუშავება დაიწყო, ძვირფასი დრო დაკარგა და მეკარეც ფეხებში ჩაუვარდა.

არგენტინელებს კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ. ვერონი სახიფათოდ ურტყამდა საჯარიმოებს, არიელ ორტეგას დარტყმული კი ჩილავერტის არყოფნაში კაპიტნად მოვლენილმა კარლოს გამარამ კარის ხაზიდან გამოიტანა.

არგენტინელთაგან ორი ფეხბურთელიც გამოვარჩიოთ — პაბლო აიმარი და ხავიერ სავიოლა. სპეციალისტთა საერთო აზრია, რომ დღეს არგენტინის ჩემპიონატში მოთამაშეთაგან 18 წლის სავიოლას და 20 წლის აიმარს ვერავინ შეედრება, რივერპლეიტული წყვილი არგენტინაში სუპერვარსკვლავურია. მიუხედავად ამგვარი აღიარებისა, ნაკრებში რომელსაც გაბრიელ ბატისტუტა, ერნან კრესპო და კლაუდიო ლოპესი ჰყავს, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ადგილი ძნელად მოიძებნება. მაგრამ ბატისტუტა დამტვრეულია, კლაუდიომ კი წინა ტურში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ჰოდა, გავიდნენ მინდორზე ახალგაზრდები და ითამაშეს — სავიოლამ 13 წუთში ორი სახიფათო მომენტი შექმნა, აიმარმა კი გაიტანა. თან გატანაც არის და გატანაც. არგენტინელებს აქამდე სამი და ოთხი გოლი რომ გაჰქონდათ თითო მატჩში, ახლა ერთიც სანატრელი გაუხდათ და ბრაზილიელებისა არ იყოს, კინაღამ მეორე თამაში წააგეს. პაბლო აიმარმა გუნდი უდიდესი სირცხვილისგან იხსნა, საგოლე პასი კი მას ერნან კრესპომ მისცა.

აიმარის გოლამდე პარაგვაელები მხოლოდ ექვს წუთს იგებდნენ თამაშს. არგენტინელებმა ბურთი დაკარგეს, სწრაფი კონტრშეტევა და რობერტო აკუნიას გოლი — სტუმრებმა სამი ვერა, მაგრამ ბუენოს აირესიდან ერთი ქულა შინ მაინც წაიღეს.

### პერუ 1:0 ვენესუელა

1:0 პალასიოსი (70)
პერუ: იბანიესი, ხორხე სოტო, ხოსე სოტო, პაულო (მარენგო 40), სორია, ხაიო, დელ სოლარი, პალასიოსი, სოლანო (მალდონადო 68), კ. პიზარო, ზუნიგა
მწვრთნელი: ფრანსისკო მატურანა
ვენესუელა: ანგელუჩი, ხიმენესი, გონსალესი, ალვარადო, მარტინესი, ტორტოლერო, ურდანეტა, მეია ვიტალი (დე ორნელასი 82), ფარიასი, მორანი, სავარეზე (კასარესი 71)
მწვრთნელი: ომარ პასტორიზა
მსაჯი: ბირონ მორენო (ეკვადორი)
40 000 მაყურებელი

პერუს ნაკრებმა ბოლოს 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. მას მერე უკვე 18 წელი გავიდა, შესარჩევი ეტაპის ბარიერი კი მისთვის გადაულახავი რჩება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ახლაც ასე იქნება.

მიუხედავად ამისა, ძნელი წარმოსადგენია, პერუელები ისე დაჩაჩანაკდნენ, რომ ვენესუელის ყოვლად უსუსურ გუნდს ვერ სძლიონ. ასეც მოხდა, ულიმღამო მატჩში პერუელი რობერტო პალასიოსის 70-ე წუთზე გატანილი ერთადერთმა გოლმა მასპინძლებს გამარჯვება და სამი ქულა მოუტანა.

პერუ — ვენესუელას მატჩზე საუბარს აქ დავასრულებდით, რომ არა ერთი მომენტი, რომელიც შეხვედრის ბოლო წუთებზე შექმნა. ვენესუელელმა რუბერტ მორანმა ბურთი ძელს გაარტყა, დამატებაზე კი გაბრიელ ურდანეტამ ხარიხას მოახვედრა. გოლი რომ გასულიყო და მატჩი ფრედ დასრულებულიყო, ვენესუელელთა მცირე მონაგარს ერთი ქულაც შეემატებოდა. მართალია, ბოლო ადგილს მაინც ვერსად გაექცევიან, მაგრამ ეს ისტორიული ქულა იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ვენესუელელებს მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ციკლში გასვლაზე ფრედ თამაში არასდროს დაუმთავრებიათ (მოგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია). სტატისტიკა გვამცნობს: ვენესუელამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პირველად 1965 წლის 16 მაისს ითამაშა. იქიდან მოყოლებული სტუმრად 30 მატჩი გამართა და ყველა წააგო. ახლა წარმოიდგინეთ, რა ფასიც ექნებოდა ვენესუელელთათვის ლიმადან წაღებულ ერთ ქულას.

### ეკვადორი 2:0 ბოლივია

1:0, 2:0 დელგადო (18, 60)
ეკვადორი: იბარა, დე ლა კრუზი, ი. ჰურტადო, პოროსო, ბიოვი (რეასკოსი 46), ობრეგონი, კალა, აგინაგა, ე. ჰურტადო, გრაციანი (ხუარესი 62), დელგადო
მწვრთნელი: ერნან გომესი
ბოლივია: სორია, კარლოს პასი, რიბერა, სანდი, არანა, გარსია, კასტილიო (ვაკა 76), კასტილიო, გალინდო, ბალდივიესო (კოიმბრა 46), სუარესი
მწვრთნელი: კარლოს არაგონესი
მსაჯი: ლუის სოლორსანო (ვენესუელა)
25 000 მაყურებელი

სამხრეთ ამერიკაში მხოლოდ ორი ქვეყანაა ისეთი, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ უთამაშია — ეკვადორი და ვენესუელა. შორეულ მომავალში რა მოხდება, არავინ უწყის, მაგრამ ვენესუელა ამ ციკლში წარმატებას რომ ვერ მიაღწევს, ცხადია. აი, ეკვადორელთა საქმე კი, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სხვაგვარადაა. ისინი ახლა მეშვიდე ადგილზე არიან, მაგრამ მეორეადგილოსანთან მხოლოდ ორი ქულა აშორებთ. საეჭვოა ეკვადორმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამსვლელ ადგილს გამოჰკრას ხელი, თუმცა, ვინ იცის...

რაკილა ამ თემაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ბარემ ეკვადორელთა მეტოქეს, ბოლივიის ამბავიც ვთქვათ. მან მსოფლიოს ჩემპიონატებზე ითამაშა, თუმცა მათგან ორჯერ შესარჩევი ციკლის გაუვლელად. საქმე ისაა, რომ შორეულ 1930 წელს, პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე, შესარჩევი მატჩები საერთოდ არ გამართულა და ბოლივიელებმა ურუგვაიში მოსახვედრად თამაშის სურვილი რომ გამოთქვეს, ესეც საკმარისი აღმოჩნდა. 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის კი ბოლივია არგენტინას უნდა გაჯიბრებოდა. მაშინ არგენტინამ თამაშზე უარი განაცხადა და ბრაზილიაში გამგზავრების პატივიც მეტოქეს დაუთმო. მხოლოდ 1994 წელს მოიპოვა ბოლივიამ ბრძოლით მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის უფლება.

ეს ისტორიაა, ახლა კი ეკვადორი — ბოლივიის მატჩი მიმოვიხილოთ.

ეკვადორს ახლანდელ შესარჩევ ციკლში შინ მარცხი არ უგემია და ბოლივიასაც აგუსტინ დელგადოს დუბლით მოუგო.

მექსიკური „ნეკაქსას“ ფეხბურთელმა პირველი გოლი მე-18 წუთზე მცველ ულისე დე ლა კრუზის პასით გაიტანა, მეორემ კი დიდი კამათი გამოიწვია. დელგადომ საგოლე პასი არიელ გრაციანისგან მიიღო, თავად გრაციანის კი კლეველ ჩალამ ჩააწოლა მას მერე, რაც ბურთს ხელით შეეხო. ასეა თუ ისე, გოლი ჩაითვალა და მსაჯს წესების დარღვევაც რომ აღენიშნა, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. უბრალოდ, ეკვადორი 2:0-ის ნაცვლად 1:0 მოიგებდა, ბოლივია თუნდაც ერთი საპასუხო გოლის გამტანი არ ჩანდა.

წაგებაზე მეტად ბოლივიელებს უფრო სხვა რამ აღარდებდათ. იქაური ფეხბურთის ფედერაცია გაკოტრების პირასაა და ნაკრების სამგზავრო თანხებს ძლივს უყრის თავს. დიდი შანსია, რომ ბოლივიამ შესარჩევი ციკლი ვერც ჩაამთავროს.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 16 |
| კოლუმბია | 7 | 3 | 3 | 1 | 7:4 | 12 |
| ურუგვაი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| ბრაზილია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| პარაგვაი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| ჩილე | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 10 |
| ეკვადორი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| პერუ | 7 | 2 | 2 | 3 | 5:5 | 8 |
| ბოლივია | 7 | 1 | 2 | 4 | 4:9 | 5 |
| ვენესუელა | 7 | 1 | 0 | 6 | 5:17 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რივალდო (ბრაზილია) | 4 |
| სამორანო (ჩილე) | 4 |
| ბატისტუტა (არგენტინა) | 3 |
| კრესპო (არგენტინა) | 3 |
| დელგადო (ეკვადორი) | 3 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი**

## კონკაკაფი

III ტური

A ჯგუფი

### ტრინიდადი 6:0 პანამა

1:0 რუჟიე (2), 2:0 დელი ვალდესი (26ს.კ.), 3:0 იორკი (36), 4:0 ევე (59), 5:0 იორკი (61), 6:0 პიერი (77)
30 000 მაყურებელი

### მექსიკა 2:0 კანადა

1:0 აბუნდისი (48), 2:0 ფენვიკი (81ს.კ.)
60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრინიდადი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 |
| მექსიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| კანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| პანამა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |

B ჯგუფი

### იამაიკა 1:0 სალვადორი

1:0 ლოუი (35)
35 000 მაყურებელი

### ჰონდურასი 6:0 სენტ ვისენტი

1:0 პავონი (5), 2:0 რამირესი (19), 3:0 გუევარა (27 პ), 4:0 რამირესაი (59), 5:0 პავონი (88), 6:0 ბენგონჩე (90)
22 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იამაიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ჰონდურასი | 3 | 2 | 0 | 1 | 12:5 | 6 |
| სალვადორი | 3 | 1 | 0 | 2 | 9:7 | 3 |
| სენტ ვისენტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:14 | 0 |

C ჯგუფი

### აშშ 7:0 ბარბადოსი

1:0 პოპი (14), 2:0 მაკბრაიდი (28), 3:0 მური (45), 4:0 ობრაიენი (46), 5:0 რამოსი (72), 6:0 სტიუარტი (74), 7:0 მური (82)
18 334 მაყურებელი

### კოსტა რიკა 2:1 გვატემალა

1:0, 2:0 ვანჩოპე (33, 48), 2:1 პეზაროსი (68)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 9:3 | 4 |
| გვატემალა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ბარბადოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:9 | 3 |



## იოცნებებს ზაჰოვიჩი სლოვენიის დამარცხებაზე?

სლოვენიამ ჩეხეთს სტუმრად მოუგო. სრეჩკო კატანეცმა, ბალკანელთა მწვრთნელმა, ზლატკო ზაჰოვიჩი, დაპირებისამებრ, არ ათამაშა. მიზეზი მოგეხსენებათ, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის შავმა კატამ გაირბინა. კატანეცმა საქვეყნოდ თქვა, სლოვენიის ნაკრებში ლიდერი არ არსებობსო, ზაჰოვიჩმა ეს იწყინა და მწვრთნელს ყველაფერი პირში მიახალა. კატანეცმაც განაცხადა, სანამ მე ნაკრების მწვრთნელი ვიქნები, იგი გუნდში ვერ ითამაშებსო.

ასეა თუ ისე, სლოვენიამ ჩეხეთს „ვალენსიას“ ფეხბურთელის გარეშე მოუგო, მატჩის შემდეგ სრეჩკო კატანეცს უთქვამს: „ზაჰოვიჩი ცუდად მოიქცა. მან პირიქით, მაგალითი უნდა მისცეს უმცროს თანაგუნდელებს, ის კი... მირჩევნია, მის გარეშე ერთი მატჩი წავაგო, ვიდრე იგი თამაშობდეს და მოვიგო“.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კატანეცის ნაკრებს ჩეხეთის ერც მოუგია, ზლატკო ზაჰოვიჩის ერც მომავალ შეხვედრებში ვიხილავთ, ეს ალბათ უფრო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იქნება.

**გიორგი გუმბაძე**

# პრემიერლიგას არსენალი მოიგებს!

## ამტკიცებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, რომელსაც საკლუბო ტიტული ენატრება



პატრიკ ვიეირა

***პატრიკ ვიეირა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრების წევრია. იგი გუნდის ხერხემალს, ნახევარდაცვის ცენტრს ამაგრებს. ვიეირამ ევროპის ჩემპიონატი მართლაც ძლიერად ჩაატარა. ფრანგი „არსენალში“ თამაშობს, მისი კლუბი კი პრემიერლიგის მოგების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ინგლისის პირველობა ხვალ დაიწყება. ალბათ დაგაინტერესებთ ვიეირას აზრი ახალ სეზონზე და წლევანდელ ფავორიტზე.***

**— სეზონის დასაწყისი მოახლოვდა. ახალი ძალით ჩაებმებით პრემიერლიგის ტურნირში. ძალუძს კლუბს წლეულს სერიოზული წარმატების მიღწევა?**

— თუ მონდომებას და შემართებას არ დავაკლებთ და ჩვენს სიძლიერეს გამოვიყენებთ, მჯერა, მაშინ პრემიერლიგის მოგების რეალური შანსიც გვექნება. ამის გარდა, ევროტურნირებშიც უნდა გამოვიჩინოთ თავი. წლეულს ჩემპიონთა ლიგა მართლაც საინტერესო იქნება. თანაც ლიგის მატჩებს შარშანდელისგან განსხვავებით „უემბლის“ ნაცვლად მშობლიურ „ჰაიბერიზე“ ჩავატარებთ.

**— გუნდს ალბათ აქვს ნაკლი, რომელიც დასახვეწია.**

— შარშან ევროტურნირებზეც და პრემიერლიგაშიც ბევრი კარგი მატჩი ჩავატარეთ, თუმცა იყო შეხვედრები როცა ძალიან სუსტად ვითამაშეთ. სწორედ ამის გამოსწორება გვმართებს, მეტ სტაბილურობას უნდა მივაღწიოთ.

**— იქნებ მომავალ სეზონში პირადი მიზნები და ამოცანები გაგვამხილოთ?**

— რასაც აქამდე მივაღწიე, იმის გაუმჯობესება მსურს. „არსენალში“ ეს შესაძლებელია. ნაკრებთან ერთად მართლაც უდიდესი წარმატებები მქონდა. მსურს, კლუბშიც იგივე გავიმეორო და მჯერა, ასეც იქნება.

**— „არსენალის“ შარშანდელ სეზონზეც ვთქვათ.**

— ვერ ვიტყვი, რომ კლუბს წარმატებული სეზონი ჰქონდა, თუმცა ჯამში ცუდიც არ ითქმის. გული დამწყდა, „არსენალმა“ რომ ვერაფერი მოიგო. თავად ვგრძნობ, კლუბში თამაშის დონე ნელ-ნელა იხვეწება და ეს ძალიან მსიამოვნებს.

**— წინა სეზონის იმედგაცრუება...**

— ვიმეორებ. მთავარი ალბათ ისაა, სტაბილურად თამაში რომ შევძლოთ, ამაზე გუნდის ყველა ფეხბურთელმა უნდა იფიქროს. წინა სეზონში „არსენალს“ და მის ქომაგს იმედგაცრუება არ დაჰკლებია. ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოვეთიშეთ, იქიდან უეფას თასზე გადავინაცვლეთ, ფინალამდე მივაღწიეთ და სამწუხაროდ, დავმარცხდით, ვერც პრემიერლიგაში და ინგლისის თასზე შევძელით წარმატებებისთვის მიგვეღწია.

**— ახალ სეზონში თავს ვინ გამოიჩენს. არიან „არსენალში“ შედარებით უცნობი ფეხბურთელები, რომელთაც ძალუძთ წლეულს ხალხს თავი დაამახსოვრონ და ევროპულ დონეზეც გამოჩნდნენ?**

— დიახ, გუნდში არის რამდენიმე მოთამაშე, რომელსაც შეუძლია წლეულსვე მიიპყროს ყურადღება. ერთ-ერთ ასეთ ფეხბურთელად ეშლი კოულს მივიჩნევ. ის ძლიერი, ნიჭიერი მოთამაშეა და წარმატების მიღწევაც შეუძლია. „არსენალის“ ახალწვეული ლორენიც ძალიან საინტერესო ფეხბურთელია.

**— ერთსაც გკითხავთ, პრემიერლიგის მოგების ყველაზე რეალური კანდიდატი ვინ არის?**

— „არსენალი“, სხვა ვინ?

**თარგმნა ნიკა შუღლაძემ**

### ფეხბურთის რუკასთან



საფრანგეთის 23-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი სებასტიან პიოსელი „ნანტმა“ მომავალი ერთი სეზონით „ბასტიაში“ გაანათხოვრა. კონტრაქტში გათვალისწინებულია, რომ კლუბების შეთანხმების შემთხვევაში ნახევარმცველს „ბასტიაში“ უფრო მეტხანს დარჩენაც შეუძლია. პიოსელი 21 წლისაა, ფრანგული პრესის ცნობით, იგი ძალიან ნიჭიერია და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

**ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ბუდევინ ზენდენმა მის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა და ჭორები გააქარწყლა და განაცხადა, რომ „ბარსელონაში“ აპირებს დარჩენას. შეგახსენებთ, რომ მისი შეძენის სურვილს „ჩელსი“ და „ლაციო“ გამოთქვამდნენ. რომაული კლუბი ჰოლანდიელს ყიდულობდა კიდეც, თუმცა შემდეგ გადაიფიქრა. „ბარსელონას“ მწვრთნელ ლუის სერა ფერერს ვესაუბრე, მან მითხრა, რომ გუნდიდან გაშვებას არ მიპირებს“ — განუცხადა ზენდენმა ერთ-ერთ გაზეთს — „მეც ბედნიერი ვარ „ბარსაში“ თამაშით და კარგი იქნება, თუ ჩემს გადასვლაზე აღარ ილაპარაკებენ“. ზენდენი კატალონიურ კლუბში მისმა თანამემამულე ლუის ვან გაალმა მიიყვანა, მაგრამ ახლა „ბარსელონას“ სხვა მწვრთნელი ჰყავს. სერა ფერერი ზენდენის გაშვებას აპირებდა, თუმცა, როგორც ჩანს, გადაუფიქრებია.**

უკრაინელი მეკარე მაქსიმ ლევიცკი „სენტ ეტიენს“ დაახლოებით სამ კვირას ვერ დაეხმარება. მან ტრავმა მიიღო და მცირედი ოპერაციაც კი დასჭირდა. ლევიცკი ფრანგულ კლუბში ნოვოროსიისკის „ჩერნომორეციდან“ სეზონის დაწყების წინ გადავიდა და გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. ლევიცკის დროებით 23 წლის ჟერემი ჟანო შეცვლის, „სენტ ეტიენის“ სკოლის აღზრდილი, რომელმაც წინა სეზონში ხუთი შეხვედრა ჩაატარა.

**ავსტრალიელმა ჰარი კიუელმა „ლიდსთან“ კონტრაქტი 2004 წლამდე გაახანგრძლივა. „სასიამოვნოა, ჰარიმ ჩვენთან უფრო დიდი ხნით დარჩენა რომ ისურვა“ — განაცხადა „ლიდსის“ თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმა. ამ შეთანხმებით გაქარწყლდა ხმები, თითქოს ფორვარდი კლუბის გამოცვლას აპირებდა. 21 წლის კიუელი „ლიდსში“ 16 წლის ასაკიდან თამაშობს. ამჟამად მას ტრავმა აქვს.**

შოტლანდიელი ფორვარდი დანკან ფერგიუსონი „ნიუკასლიდან“ „ევერტონში“ დაბრუნდა. ლივერპულულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 5,62 მილიონი დოლარი გადაიხადა, ფერგიუსონმა „ევერტონთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ნიუკასლში“ თამაშით კმაყოფილი ვიყავი, თუმც ახლა მივხვდი, რომ წასვლა აჯობებდა. ვიცოდი, რომ „ევერტონში“ გულთბილად მიმიღებდნენ“ — განაცხადა შოტლანდიელმა, რომელიც „ევერტონიდან“ „ნიუკასლში“ 21 თვის წინ 11,9 მილიონ დოლარად გადაბარგდა.





1990 წელი. ნეაპოლის ზეობის ჟამი: „ნაპოლი“ ჩემპიონია, გმადლობთ, მარადონა

# ნაპოლი იქ, სადაც უნდა იყოს

**„ნაპოლი“** კვლავ ქვეყნის უძლიერეს კლუბთა შორის დაბრუნდა. ნეაპოლელები ახალ სეზონს სერია A-ში იწყებენ. მარადონას კლუბს ბოლო წლებში არცთუ სახარბიელოდ ჰქონდა საქმე და იტალიის ქვედა ლიგაში უწევდა თამაში, „ნაპოლიმ“ ორი სეზონი სერია B-ში გაატარა.

ახლა, როცა ნეაპოლის სიამაყეს გამოცდილი ზდენეკ ზემანი წვრთნის, გუნდი ფინანსურადაც გაძლიერდა და ახალი ფეხბურთელები დაიმატა, უკვე წარმატებებზეც შეიძლება ფიქრი. სწორედ საამისოდ ილვწიან კლუბის ხელმძღვანელები.

აგერ უკვე 30 წელიწადია, „ნაპოლის“ კორადო ფერლაინო პრეზიდენტობდა, თუმცა სულ ახლახან, უფრო ზუსტად კი ივლისში, კლუბის აქციათა პაკეტის დიდი ნაწილი ვინმე ჯორჯო კორბელიმ შეიძინა, ამიტომ მთავარი სიტყვა „ნაპოლიში“ უკვე მას ეთქმის.

კორბელი ყოფილი ბეისბოლისტია, იგი ერთ-ერთ საკალათბურთო კლუბსაც ფლობს. ალსანიშნავია, რომ მან დააარსა სატელევიზიო არხი, რომლის მეშვეობითაც მაყურებელს შეუძლია შეუკვეთოს და შეიძინოს ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშები და სამკაული. კორბელის კომპანიის წლიური კაპიტალბრუნვა 140 მილიონი დოლარია. ივლისში კორბელი „ნაპოლის“ აქციათა საკონტროლო პაკეტს დაეუფლა და ამგვარად ფერლაინო შეცვალა. როგორც კი ხელმძღვანელად დანიშნეს, განაცხადა, ისინი მჭირდება, ვისაც თამაში ესმისო.

ახლა ფინანსებზეც — „ნაპოლიმ“ ცოტა ხნის წინ ტელეკომპანია „ტელეპიუსთან“ 1998 წელს გაფორმებული კონტრაქტი შეწყვიტა. კლუბმა სასამართლო პროცესის მოგება შეძლო და ახალი პარტნიორი აირჩია. კომპანია „სტრიმმა“ მომავალ სეზონში გუნდის მატჩების ტრანსლირების უფლება მიიღო, კლუბმა კი — 28,12 მილიონი დოლარი, ნაცვლად ამ თანხის მესამედისა, რომელიც წინა კონტრაქტის მიხედვით „ტელეპიუსგან“ ერგებოდა.

„ფინანსურად მოვძლიერდით — აცხადებს კლუბის მმართველი — „სტრიმთან“ კონტრაქტის გაფორმება ნამდვილად ხელსაყრელი იყო, ახლა გუნდის გაძლიერებაზე უნდა ვიფიქროთ“.

გაძლიერება კი „ნაპოლიმ“ უკვე კარგა ხანია, დაიწყო. მათ „იუვენტუსიდან“ ნიკოლა ამორუზო გადაიბირეს, გარდა ამისა, ტურინული კლუბიდან ფაბიო პეკია დაუბრუნდა. ნახევარმცველი „ნაპოლიში“ 1993-დან 1997 წლ
მდე თამაშობდა. ნეაპოლში კარიერი
გაგრძელება ორმა ინტერელმა — სა
ლვატორე ფრეზიმ და ფრანჩესკო მო
რიეირომაც არჩიეს.

შესაძლო ახალწვეულების საკითხ
კი ასეა: ზდენეკ ზემანს ჯანფრანკ
ძოლასთვის და რობერტო ბაჯოსთვი
დაუდგამს თვალი. მოგეხსენებათ, ერ
„ჩელსიში“ თამაშობს, მეორე — „ი
ტერში“. ამას წინათაც გაუწყეთ, რომ
ძოლას ტრანსფერი მოსალოდნელია
ხოლო ბაჯოს „ნაპოლიში“ გადასვლა
ზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით

ალსანიშნავია, რომ ძოლა 80-იანი
წლების ბოლოს სწორედ „ნაპოლი
ში“ გამოჩნდა. მას მარადონას დრო
მოუწია თამაშმა და 1990 წელს იტა
ლიის ჩემპიონი გახდა. ნეაპოლელებ
ახლა ძოლას დაბრუნება სურთ, მა
გრამ „ჩელსი“ 4,5 მილიონ დოლარ
ითხოვს, „ნაპოლის“ კი 34 წლის ფე
ხბურთელში ამ თანხის გადახდა ე
ნელება. ამის გამო შეთანხმება ჯერ
ჯერობით ჩაიშალა. თუმც იმასაც ამ
ბობენ, მას შემდეგ, რაც ნეაპოლელე
ბმა „სტრიმისგან“ მიღებული თანხი
სალარო შეავსეს, ეგებ ძოლაში 4,
მილიონის გადახდას კიდევაც დაჟ
ბულდნენო.

ზემანი თურმე მეკარეებსაც ეძებ
ჩეხმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ კ
რის დარაჯ რუსლან ნიგმატულინს დ
ადგა თვალი და ეგებ დაიყაბულოს კ
დეც. თუ ვერ მოახერხა, სავარაუდო
„პარმას“ სათადარიგო მეკარეს, მატე
გუარდალბენს შეიძენს.

„ნაპოლის“ წინასასეზონო მზადებ
ზეც ვთქვათ. კლუბმა პირველი ორ
საკონტროლო მატჩი პროვინციულ
კლუბებთან ჩაატარა და მათ ჯამში
გოლი გაუტანა. თუმცა ამის შემდე
წარუმატებლობა დასჩემდა. და მომდე
ვნო მატჩებში, „ბორგოსესიასთან“ დ
„ბიულერესთან“ დამარცხდა. ბევრი
სთვის მართლაც უცნობი კლუბებია
მაგრამ ამ შეხვედრებში ზემანმა წამყ
ვანი მოთამაშეების უმრავლესობა და
ასვენა. ნეაპოლელები სერია C-ში მო
თამაშე „კატანიასთანაც“ დამარცხდნე
მაგრამ შემდეგ აგრეთვე იტალიის მე
სამედივიზიონელ „პალერმოს“ შეხვდ
და 2:1 დაჯაბნეს.

სერია A-ს დაწყებამდე ჯერ მთელ
თვენახევარია, ამიტომ „ნაპოლი“ ს
კონტროლო მატჩებს კიდევ ჩაატარებ
მომავალ კვირაში მისი სპარინგ-მეტო
ჩემპიონთა თასის მფლობელი მად
დის „რეალი“ იქნება.

**ნიკა შუღლა**

# ინგლისური პრემიერლიგის ტრანსფერები 2000-2001

### არსენალი (ლონდონი)

**წავიდნენ:** მარკ ოვერმარსი (ნახევარმცველი, ბარსელონა, ესპანეთი) და ემანუელ პეტი (ნახევარმცველი, ბარსელონა, ესპანეთი, ორივე ერთად 43.51 მილიონი დოლარი), დავორ შუკერი (თავდამსხმელი, ვესტ ჰემი, თავისუფალი აგენტი), ნაიჯელ უინტერბერნი (მცველი, ვესტ ჰემი, თანხა უცნობია)

**მოვიდნენ:** რობერ პირესი (თავდამსხმელი, მარსელი, საფრანგეთი, 8.25), ლორენ ეტამაიერი (მცველი, მალიორკა, ესპანეთი, 10.5), გაი დემელი (ნახევარმცველი, ნიმი, საფრანგეთი, თავისუფალი აგენტი)

### ასტონ ვილა (ბირმინგემი)

**წავიდნენ:** ბენიტო კარბონე (თავდამსხმელი, ბრედფორდ სიტი, თავისუფალი აგენტი), სტივ უოტსონი (მცველი, ევერტონი, 3.75), მარკ დრეიპერი (ნახევარმცველი, საუთჰემპტონი, 2.25)

**მოვიდნენ:** დავიდ ჟინოლა (თავდამსხმელი, ტოტენჰემ ჰოთსპური, 4.51), ალფაი ოზალანი (მცველი, ფენერბაჰჩე, თურქეთი, 8.4), ლუკ ნილისი (თავდამსხმელი, პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია, თავისუფალი აგენტი)

### ბრედფორდ სიტი

**წავიდნენ:** ჟორჟე კადეტე (თავდამსხმელი, ბენფიკა, პორტუგალია, დაბრუნდა)

**მოვიდნენ:** დან პეტრესკუ (მცველი, ჩელსი, 1.5), დევიდ ჰოპკინი (ნახევარმცველი, ლიდს იუნაიტედი, 3.75), ბენიტო კარბონე (თავდამსხმელი, ასტონ ვილა, თავისუფალი აგენტი), პიტერ აზერტონი (მცველი, შეფილდ უენსდი, თავისუფალი აგენტი), იან ნოლანი (მცველი, შეფილდ უენსდი, თავისუფალი აგენტი)

### ჩარლტონ ატლეტიკი

**წავიდნენ:** არავინ

**მოვიდნენ:** ჯონათან იოჰანსონი (თავდამსხმელი, გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია, 5.63), კლაუს იენსენი (ნახევარმცველი, ბოლტონი, 5.99), ქარიმ ბაგერი (თავდამსხმელი, ფირუზი, ირანი, 1.66)

### ჩელსი (ლონდონი)

**წავიდნენ:** კრის სატონი (თავდამსხმელი, სელტიკი, შოტლანდია, 9.08), დან პეტრესკუ (მცველი, ბრედფორდ სიტი, 1.5), დიდიე დეშამპი (ნახევარმცველი, ვალენსია, ესპანეთი, 3.45), ჟორჟ ვეა (თავდამსხმელი, დაბრუნდა იტალიურ „მილანში", მერე გადავიდა მანჩესტერ სიტიში)

**მოვიდნენ:** ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (თავდამსხმელი, ატლეტიკო, ესპანეთი, 22.5), ეიდურ გუდიონსენი (თავდამსხმელი, ბოლტონი, 6.0), მარიო სტანიჩი (ნახევარმცველი, პარმა, იტალია, 8.4), კრისტიან პანუჩი (მცველი, ინტერი, იტალია, 1 წლით ინათხოვრა), **რატი ალექსიძე** (ნახევარმცველი, დინამო, საქართველო)

### ქოვენთრი სიტი

**წავიდნენ:** რობი კინი (თავდამსხმელი, ინტერი, იტალია, 19.5), ნოელ ველანი (თავდამსხმელი, მიდლსბრო, 3.0), გარი მაკალისტერი (ნახევარმცველი, ლივერპული, თავისუფალი აგენტი), დევიდ ბოროუზი (მცველი, ბირმინგემ სიტი, თავისუფალი აგენტი)

**მოვიდნენ:** დევიდ ტომპსონი (ნახევარმცველი, ლივერპული, 3.75)

### დერბი ქაუნთი

**წავიდნენ:** ესტებან ფუერტესი (თავდამსხმელი, ლანსი, საფრანგეთი, 6.0), მიქელ ბეკი (თავდამსხმელი, ლილი, საფრანგეთი, 750,000), ტონი დორიგო (მცველი, სტოკ სიტი, თავისუფალი აგენტი)

**მოვიდნენ:** **გიორგი ქინქლაძე** (ნახევარმცველი, აიაქსი, ჰოლანდია, 4.0), დენი ჰიგინბოთომი (მცველი, მანჩესტერ იუნაიტედი, 3.0), ბიორნ ოტო ბრაგსტადი (მცველი, რუსენბორგი, ნორვეგია, 2.28)

### ევერტონი (ლივერპული)

**წავიდნენ:** ნიკ ბარმბი (ნახევარმცველი, ლივერპული, 9.0), დონ ჰათჩისონი (ნახევარმცველი, სანდერლენდი, 3.75), ჯონ კოლინზი (ნახევარმცველი, ფულემი, 3.75)

**მოვიდნენ:** დანკან ფერგიუსონი (თავდამსხმელი, ნიუკასლ იუნაიტედი, 5.62), ალექს ნიარკო (ნახევარმცველი, ლანსი, საფრანგეთი, 6.75), პოლ გესქოინი (ნახევარმცველი, მიდლსბრო, თავისუფალი აგენტი), სტივ უოტსონი (მცველი, ასტონ ვილა, 3.75), ალესანდრო პისტონე (მცველი, ნიუკასლ იუნაიტედი, 4.5), თომას გრავესენი (ნახევარმცველი, ჰამბურგი, გერმანია, 3.79), ნიკლას ალექსანდერსონი (თავდამსხმელი, შეფილდ უენსდი, 3.65)

### იფსვიჩ თაუნი

**წავიდნენ:** არავინ

**მოვიდნენ:** ჯონ სკაილზი (მცველი, ტოტენჰემ ჰოთსპური, თავისუფალი აგენტი), მარტინ როიზერი (თავდამსხმელი, ვიტესი, ჰოლანდია, 1.5)

### ლიდს იუნაიტედი

**წავიდნენ:** დევიდ ჰოპკინი (ნახევარმცველი, ბრედფორდ სიტი, 3.75), ალფ ინგე ჰაალანდი (ნახევარმცველი, მანჩესტერ სიტი, 3.75)

**მოვიდნენ:** დომინიკ მატეო (ნახევარმცველი, ლივერპული, 6.37), მარკ ვიდუკა (თავდამსხმელი, სელტიკი, შოტლანდია, 10.5), ოლივიე დაკური (ნახევარმცველი, ლანსი, საფრანგეთი, 11.05)

### ლესტერ სიტი

**წავიდნენ:** პეგი არპეშადი (მეკარე, ლივერპული, თავისუფალი აგენტი)

**მოვიდნენ:** ადე აკინბი (თავდამსხმელი, ვულვერჰემპტონი, 7.58), გარი როუეტი (მცველი, ბირმინგემ სიტი, 4.5), კალუმ დავიდსონი (მცველი, ბლექბერნ როვერსი, 2.55)

### ლივერპული

**წავიდნენ:** დომინიკ მატეო (ნახევარმცველი, ლიდს იუნაიტედი, 6.37), სტიგ ინგე ბიორნებიუ (მცველი, ბლექბერნ როვერსი, 450,100), დევიდ ტომპსონი (ნახევარმცველი, ქოვენთრი სიტი, 3.75), ფილ ბები (მცველი, სპორტინგი, პორტუგალია, თავისუფალი აგენტი)

**მოვიდნენ:** კრისტიან ციგე (ნახევარმცველი, მიდლსბრო, 8.3), ნიკ ბარმბი (ნახევარმცველი, ევერტონი, 9.0), ბერნარ დიომედი (ნახევარმცველი, ოსერი, საფრანგეთი, 4.5), მარკუს ბაბელი (მცველი, ბაიერნი, გერმანია, თავისუფალი აგენტი), გარი მაკალისტერი (ნახევარმცველი, ქოვენთრი სიტი, თავისუფალი აგენტი), პეგი არპეშადი (მეკარე, ლესტერ სიტი, თავისუფალი აგენტი)

### მანჩესტერ სიტი

**წავიდნენ:** არავინ

**მოვიდნენ:** პაულო ვანჩოპე (თავდამსხმელი, ვესტ ჰემი, 5.48), ჟორჟ ვეა (თავდამსხმელი, მილანი, იტალია, თავისუფალი აგენტი), ალფ ინგე ჰაალანდი (ნახევარმცველი, ლიდს იუნაიტედი, 3.75), სტივ ჰაუი (მცველი, ნიუკასლ იუნაიტედი, 4.5)

### მანჩესტერ იუნაიტედი

**წავიდნენ:** მასიმო ტაიბი (მეკარე, რეჯინა, იტალია, 3.75), ხორდი კრუიფი (ნახევარმცველი, ალავესი, ესპანეთი, თავისუფალი აგენტი), დენი ჰიგინბოთომი (მცველი, დერბი ქაუნთი, 3.0)

**მოვიდნენ:** ფაბიენ ბარტეზი (მეკარე, მონაკო, საფრანგეთი, 11.7)

### მიდლსბრო

**წავიდნენ:** კრისტიან ციგე (ნახევარმცველი, ლივერპული, 8.3), პოლ გესქოინი (ნახევარმცველი, ევერტონი, თავისუფალი აგენტი), ჟუნინიო (ნახევარმცველი, ატლეტიკო, ესპანეთი, დაბრუნდა)

**მოვიდნენ:** კრისტიან კარამბუ (ნახევარმცველი, რეალი, ესპანეთი, 3.75), ალენ ბოკშიჩი (თავდამსხმელი, ლაციო, იტალია, 3.75), ჟოზეფ დეზირე ჟობი (თავდამსხმელი, ლანსი, საფრანგეთი, 4.5), ნოელ ველანი (თავდამსხმელი, ქოვენთრი სიტი, 3.0), პოლ ოკონი (ნახევარმცველი, ფიორენტინა, იტალია, თავისუფალი აგენტი)

### ნიუკასლ იუნაიტედი

**წავიდნენ:** დანკან ფერგიუსონი (თავდამსხმელი, ევერტონი, 5.62), **თემურ ქეცბაია** (ნახევარმცველი, ვულვერჰემპტონი, 1.35), სილვიო მარიჩი (ნახევარმცველი, პორტუ, პორტუგალია, 2.0), ალესანდრო პისტონე (მცველი, ევერტონი, 4.5), სტივ ჰაუი (მცველი, მანჩესტერ სიტი, 4.5)

**მოვიდნენ:** კრისტიან ბასედასი (ნახევარმცველი, ველეს სარსფილდი, არგენტინა, 4.5), კარლ კორტი (თავდამსხმელი, უიმბლდონი, 10.5)

### საუთჰემპტონი

**წავიდნენ:** ლუიშ ბოა მორტე (თავდამსხმელი, ფულემი, გაანათხოვრეს)

**მოვიდნენ:** მარკ დრეიპერი (ნახევარმცველი, ასტონ ვილა, 2.25), უვე როსლერი (თავდამსხმელი, ტენის ბორუსია, გერმანია, თავისუფალი აგენტი)

### სანდერლენდი

**წავიდნენ:** არავინ

**მოვიდნენ:** დონ ჰათჩისონი (ნახევარმცველი, ევერტონი, 3.75), ჯულიო არკა (მცველი, არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა, 5.31)

### ტოტენჰემ ჰოთსპური

**წავიდნენ:** დავიდ ჟინოლა (თავდამსხმელი, ასტონ ვილა, 4.51), ალან ნილსენი (ნახევარმცველი, უოტფორდი, 3.38), ჯონ სკაილზი (მცველი, იფსვიჩ თაუნი, თავისუფალი აგენტი), ესპენ ბაარდსენი (მეკარე, უოტფორდი, 2.0)

**მოვიდნენ:** სერგეი რებროვი (თავდამსხმელი, დინამო, უკრაინა, 14.0), ბენ ტეტჩერი (მცველი, უიმბლდონი, 7.58), ნილ სალივანი (მეკარე, უიმბლდონი, თავისუფალი აგენტი)

### ვესტ ჰემი

**წავიდნენ:** მარკ-ვივიენ ფოე (ნახევარმცველი, ლიონი, საფრანგეთი, 9.0), პაულო ვანჩოპე (თავდამსხმელი, მანჩესტერ სიტი, 5.48)

**მოვიდნენ:** ფრედერიკ კანო (თავდამსხმელი, ლიონი, საფრანგეთი, 7.0), დავორ შუკერი (თავდამსხმელი, არსენალი, თავისუფალი აგენტი), ნაიჯელ უინტერბერნი (მცველი, არსენალი, თავისუფალი აგენტი)


REUTERS

ვეამ ირვინი ჯერ მოცელა...

# ვაი ვეასგან

**იუნაიტედი 2:0 სიტი**

**1:0 შერინგემი (36), 2:0 კოული (44)**

**მანჩესტერ იუნაიტედი: ვან დერ გოუ, ბ. ნევილი, ირვინი, (უოლვორკი 37), ფ. ნევილი, იონსენი (ბრაუნი 55), ბექჰემი (კლეგი 55), სტოული (გიგზი 55), ბათი, ფორჩუნი, შერინგემი, კოული**

**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**

**მანჩესტერ სიტი: ვიავერი, ედჯილი (გრენვილი 46), ტიატო (ჯონსონი 46), ჰაუი, პრიორი (რაიტი 46), ჰაალანდი (კუკი 46), ვიკერსი, გრანტი, კენედი (ჯიმ უიტლი 46), რაიტ-ფილიპსი (მაიკი 46), ვეა (დიკოვი 46)**

**მწვრთნელი: ჯო როილი**

**მსაჯი: მ. დინი**

**45 158 მაყურებელი**

რას ერჩოდა ჟორჟ ვეა დენის ირვინს? ირლანდიელი მცველი „მანჩესტერ იუნაიტედში" თავის საიუბილეო შეხვედრას ატარებდა. „იუნაიტედი" — „სიტის" დერბის სანახავად „ოლდ ტრეფორდზე" უხვად გულშემატკივარი მივიდა. ის საღამო დენისს ეკუთვნოდა... არა და არ მოასვენა ლიბერიელმა 34 წლის ვეტერანი ირვინი, სულ ლანდივით კუდში დასდევდა, გეგონებოდათ, ირვინი თავდამსხმელია, ვეა-მცველიო. მრავლადაა იმის ამსახველი ფოტო, სადაც ვეა ირვინს არ ინდობს. ფოტოებში ისეთი დრამატიზმია, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, უალრესად პრინციპული მატჩი ყოფილიყოს.

„ეს ყველაფერი საიუბილეო ამხანაგურ მატჩისთვის მეტად უჩვეულო იყო. თუმცა მანჩესტერული დერბი ყოველთვის დაძაბულია" — განმარტავს სიტის თავკაცი ჯო როილი. დერბიცაა და დერბიც, მაგრამ ამ ფოტოს შემხედვარე ბევრს გულიც დაეწვება და იტყვის, რამ გაამწარა ეს ვეა, ორი კვირაა, რაც „სიტიში" გადავიდა, ნუთუ თავს ისეთ მანჩესტერელად გრძნობს, რომ მეტოქეს სამუდამო ხეიბრობისთვის იმეტებსო.

მატჩის მსვლელობამ და ვეას არასპორტულმა, უფრო მეტიც, არაადამიანურმა საქციელმა, ხალხი შეძრა და გააოგნა. ნუთუ ეს იმის მიმნიშნებელია, რომ ამხანაგური მატჩები საერთოდ გავაუქმოთ? — კითხულობენ „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგები.

„არა, ეს რაღაც შეშლილი თამაში იყო, ეს საიუბილეო და საზეიმო მატჩს სულაც არ ჰგავდა" — გაკვირვებულია „იუნაიტედის" თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი.

პრინციპული მატჩებით ვერც დევიდ ბექჰემს გააკვირვებ. რა დონის შეხვედრაში არ უთამაშია ნახევარმცველს. მაგრამ იგი აცხადებს: „ასეთი რთული საიუბილეო მატჩი არასდროს ჩამიტარებია. „იუნაიტედი" — „სიტის" დერბი პასიური არასდროს ყოფილა, მაგრამ ეს ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს. თანაც ყველაფერი დენისს ეძლვნებოდა. ახლა ერთი სული გვაქვს, „სიტის" პრემიერლიგის შეხვედრებში როდის დავუპირისპირდებით".

იუბილარს რაც შეეხება, ჯერ არ არის ცნობილი რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა. ღმერთმა არ ქნას და ვეა ეგებ დენისის „იუნაიტედური" კარიერის დასრულების მიზეზიც შეიქნეს.

ისე ირლანდიელი ამ მატჩის შემდეგ მილიონი გირვანქით გამდიდრდება. შეხვედრიდან შემოსული თანხა ირლანდიელს გადაეცა, თუმცა ეს ყველაფერი ტრავმისა და ზედმეტი უარყოფითი ემოციების გარეშეც მოხდებოდა.



THE SUN

– მერე კი კინაღამ კოჭიც გადაუმტვრია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბედი არა გვაქვს ქართველებს... ნეტავ, ფეხბურთი არითმეტიკა იყოს



რუმინელთა მწვრთნელი ლადისლაუ ბოლონი ადრიან ილიეს თამაშით კმაყოფილია

ოთხშაბათი ამხანაგური დღე იყო. ამხანაგობაზე საუბარს რომ გავყვეთ, შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ასეთ თამაშებს საკონტროლოსაც ეძახიან და ამოწმებენ, ვინ როგორ მზადყოფნაშია ოფიციალური მატჩების წინ.

იტალიის გარდა მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენმა ყველა მეტოქემ ითამაშა და შედეგებისთვის თვალის გადავლებას, თუ გამოვიყენებთ, სასარგებლო უნდა იყოს. რას ვხედავთ? ლიტვა შერცხვა, რუმინეთმა და უნგრეთმა შინ პოლონეთი და ავსტრია ვერ დაამარცხეს. რა გამოდის? ლიტველებმა თუ 1:5 წააგეს და ჩვენებმა მხოლოდ 1:2, ბალტიისპირელებს წესით 3:0 უნდა მოვუგოთ. ეგებ რუმინეთი — საქართველოს მატჩის დროსაც გაუშვას რუმინელმა მეკარემ ერთი-ორი ისეთი სულელური გოლი, როგორიც პოლონეთთან შეხვედრისას, მაგრამ... ინტუიცია გვკარნახობს და წინა შესარჩევი ციკლიდან გამოყოლილი გამოცდილებაც გვეუბნება: ჩვენი მეტოქეები ამხანაგურ მატჩებს ამხანაგურად თამაშობენ, მერე აქ ჩამოდიან და...

### ჩეხეთი 0:1 სლოვენია

0:1 პავლინი (69)

ჩეხეთი: ბლაჟეკი, ნეკლი (მ. ულიჩნი 78), რადა, ლ. დოშეკი (ფუკალი 84), ბოლფი, კოლომაზნიკი (ს. ულიჩნი 53), იანკულოვსკი, პორტაში, ბეპალი (იაროშიკი 46), კოლერი (კომლი 76), პაინცი (ვერბირი 53)

სლოვენია: სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, გალიჩი, ბულაიჩი, კარიჩი (ტავკარი 46), ჩეჰი, ნოვაკი (გაიზერი 46), პავლოვიჩი (ვუკადინოვიჩი 81), პავლინი (ზლოგარი 89), შილიაკი (უდოვიჩი 46), რუდონია (ოსტერცი 64)

მსაჯი: ატილა ჰანაშეკი (უნგრეთი)

4 828 მაყურებელი

### რუსეთი 1:0 ისრაელი

1:0 ბუზნიკინი (83)

რუსეთი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ხოხლოვი (ლოსკოვი 68), სმერტინი, სოლომატინი, სემაკი, ონოპკო, კარპინი, ალენიჩევი, პანოვი (ბუზნიკინი 46), ბესჩასტნიხი (მოსტოვოი 46)

ისრაელი: ელიმელეხი, ხარაზი, კეისი, შელახი, ბრომერი, ტალქარი, ბანინი, ნიმნი (ტელესნიკოვი 86), ბადირი (მასანი 68), ბერკოვიჩი, ბალალი (ბენაიონი 68)

მსაჯი: სლავიკ კაზარიანი (სომხეთი)

10 000 მაყურებელი

რუსებმა გაიმარჯვეს, ოღონდ არა ისეთი თამაშით, თავად რომ სურდათ. მასპინძლებმა მხოლოდ პირველი ტაიმის დასაწყისში შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, დანარჩენი დრო კი ბურთის გორებას მოანდომეს, რომელსაც გააზრებულ, კომბინაციურ ფეხბურთთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამით მათ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ გოლს თუ ვერ გაიტან, ბურთის ფლობის მაჩვენებელს რა ფასი აქვს. თავად რუსები ამბობენ, ებრაელებს გოლის გატანის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდში უბრალოდ ბედმა გაგვიღიმაო.

შესვენების შემდეგ მასპინძლები რამდენადმე გამოცოცხლდნენ, რაც უპირველესად მოედანზე ბუზნიკინისა და მოსტოვოის შესვლამ გამოიწვია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ თამაშს პარტნიორთა ურთიერთშეთანხმებულობისა რამე დაეტყო. უბრალოდ, რამდენიმე ფეხბურთელი საკუთარი ინდივიდუალური ოსტატობით ცდილობდა ფონს გასვლას. სწორედ ამგვარმა ინიციატივამ გაატანინა სატურნელ ბუზნიკინს ერთადერთი გოლი. რუსთა მორიგი უნიათო შეტევის დროს მან ბურთი მიიღო და ერთი შეხედვით უიმედო გარღვევა განიზრახა. ბუზნიკინმა მეტოქის ოთხი მცველი მოატყუა და შეაგდო.

მატჩის შემდეგ რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა მიხაილ გერშკოვიჩმა განაცხადა, პირველ ტაიმში სისწრაფე გვაკლდა, შესვენების მერე კი ტემპს მოვუმატეთ და კარგადაც ვითამაშეთო. რუსული პრესა მწვრთნელის ამგვარ განცხადებას ეჭვის თვალით უყურებს, ასეთი თამაშით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ვერაფერს გავხდებითო.

### რუმინეთი 1:1 პოლონეთი

1:0 ილიე (21), 1:1 ოლისადებე (79)

რუმინეთი: სტელეა (ლობონტი 46), ჩობოტარიუ, კონტრა, გალკა (ტამაში 71), ბელოდედიჩი, მუტუ (როსუ 80), დ. მუნტეანუ (მოლდოვანუ 85), ილიე (მოლდოვანი 21), კოვაჩი, განეა (კ. მუნტეანუ 60), კონტრა (პეტრესკუ 63)

პოლონეთი: დუდეკი, კლოსი (მაიტო 46), ბაკი, მიხალ ჟევლაკოვი (კოზმინსკი 46), ვალდოხი, კრჟინოვეკი (კუილბოვიჩი 80), სვიერჩევსკი, ივანი (კარვანი 60), კალუჟნი (ზიებელი 63), მარჩინ ჟევლაკოვი, ოლისადებე

მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)

6 000 მაყურებელი

ევროპის ჩემპიონატზე რუმინელთა თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გეორგე ჰაჯის გარეშე ისინი უკეთაც თამაშობენ. ევროპა დასრულდა, ჰაჯიმ კაპიტნის სამკლავური დორინელ მუნტეანუს გადაულოცა და წავიდა. რუმინელებსაც პოლონელთა დამარცხება თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ, ადრიან ილიემ გოლი უკვე 21-ე წუთზე გაიტანა, საკმაო უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ...

ის, რაც რუმინელთა მეკარემ ბოგდან ლობონტმა გააკეთა, უხეშ შეცდომასაც ვერ ვუწოდებთ, უფრო სისულელე ეთქმის. გეხსომებათ, როგორი გოლიც გაუშვა ალექსანდრ ფილიმონოვმა უკრაინასთან მატჩში, ლობონტისა უარესი იყო. პოლონელმა ფეხბურთელმა ზედ კუთხურის ხაზიდან დაარტყა, დარტყმაც არ ეთქმოდა, ჩაწოდება უფრო იყო, თან არცთუ ძლიერი. ლობონტი ბურთს შესწვდა, მაგრამ ხელებს შორის გაუძვრა და ძელს მოხვდა, იქ კი ემანუილ ოლისადებემ თავი შეუშვირა.

იკითხავთ, ოლისადებე რანაირი პოლონელიაო. არც არის. ნიგერიაშია დაბადებული და გაზრდილი. ახლა ვარშავის „პოლონიაში" თამაშობს და იქაური მოქალაქეობაც მიიღო.

თამაშის დასრულებამდე ცოტა დრო რჩებოდა, თუმცა მასპინძლებს გამარჯვება მაინც შეეძლოთ. მსაჯის წამატებულ დროში კატალინ მუნტეანუს არ გაუმართლდა — ბურთი ძელს გაარტყა.

### ფინეთი 3:1 ნორვეგია

1:0 ლიტმანენი (24), 1:1 ჰელსტადი (54), 2:1 ლიტმანენი (61), 3:1 კუკი (90)

ფინეთი: იასკელაინენი, ილონენი, ტურმინენი, ჰიიპა, ტიჰინენი, ნურმელა (კუკი 76), ვისი (რიიჰილაჰტი 90), ვალაკარი (კოპინენი 56), ფორსელი (კოტილა 81), ლიტმანენი (სალი 65), კოლკა (საარინენი 66)

ნორვეგია: ოლსენი, ბერგდოლმო, ბრაგსტადი (მოფტენი 46), ბერგი (ეგენი 81), ბიორნებიე, ივერსენი (იოჰანსენი 71), ანდერსენი, ჰელსტადი, კარეუ, როსეტი, რიისე (სვინდალ ლარსენი 46)

გაძევება: ბიორნებიე (90)

მსაჯი: მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

10 748 მაყურებელი

### ფარერები 0:2 დანია

0:1 სანდი (56), 0:2 სტენ ნილსენი (69)

ფარერები: მიკელსენი (კნუდსენი 46), იოჰანესენი, ი. ჰანსენი, ო. ჰანსენი, ჰ. ჰანსენი, იოენსენი (ბენიამინსენი 68), არგე (კ. მორკორე 68), ჯ. იონსონი, ა. მორკორე (იარნსკორი 70), ტ. იონსონი, ი. პეტერსენი (იაკობსენი 82)

დანია: შმაიხელი, გოლდბეკი (ნილსენი 46), ჰენრიქსენი, გრავესენი (გრანდსენი 69), ჰანსე ჰელვეგი (ლეჩტე 81), სტენ ნილსენი, იენსენი, ტომასონი (იოჰანსენი 46), რომედალი (ბისგაარდი 81), სანდი (მ. პედერსენი 69)

მსაჯი: იონ სკიერვოლდი (ნორვეგია)

6 478 მაყურებელი

### ბულგარეთი 1:3 ბელგია

0:1 ვერჰეიენი (16), 0:2 ე. მპენზა (29), 0:3 ვერჰეიენი (60), 1:3 ილიევი (65)

ბულგარეთი: გოსპოდინოვი (ივანკოვი 46), ბორიმიროვი (პეევი 46), იორდანოვი, სტოიანოვი (ტომასი 72), პაჟინი (კირილოვი 58), მარკოვი, ს. პეტროვი, პეტკოვი, ბალაკოვი (მ. პეტროვი 46), ხრისტოვი (ილიევი 46), ტოდოროვი (დონკოვი 63)

ბელგია: დე ვლიგერი, დეფლანდრე (ჯ. პეეტერსი 46), ვალგაერენი, ვან მეირი, ვან კერკჰოვენი, ვანდერჰეიგი (ბასეჯიო 61), ვილმოტსი (ვალემი 61), გოორი (ჰენდრიქსი 61), ე. მპენზა (მ. მპენზა 73), დე ბილდე (ბ. პეეტერსი 46), ვერჰეიენი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

2 000 მაყურებელი

### პორტუგალია 5:1 ლიტვა

1:0 ჟოაუ პინტუ (31), 2:0 ფიგუ (38), 2:1 ფომენკა (44პ), 3:1 რუი კოშტა (47პ), 4:1 სეგერუ (80), 5:1 პაულეტა (86)

პორტუგალია: ვიტორ ბაია (ქუინია 46), ჟორჟე კოშტა (სეგერუ 46), ნელსონი (სეკრეტარიუ 57), ფერნანდუ კოუტუ, დიმაში (რუი ჟორჟე 46), ვიდიგალი (კოშტინია 54), პაულუ სოუზა, ფიგუ (პაულეტა 50), რუი კოშტა, ჟოაუ პინტუ (სიმაო 46), ზა პინტუ

ლიტვა: რადიმანსკასი, კანჩელსკისი (რადზიუსი 84), გლევეცკასი, დ. შუტაუტასი (სოროკინასი 65), სემბერა, ჟვირგჟდაუსკასი, იუდიკისი (ვენცევიჩიუსი 46), მიკალაიუნასი (გედრიუსი 64), პრეიკშაიტისი, პოსკუსი, ფომენკა

მსაჯი: გრაციანო ჩეზარე (იტალია)

11 000 მაყურებელი



ჩეხეთი — სლოვენია 0:1. მარეკ იანკულოვსკი (მარცხნივ) და სლოვენიელი ჯონი ნოვაკი






REUTERS

რუდი ფიოლერი გერმანელთა გმირი გახდა და ეს აღიარება პირველმა მისმა თანაშემწემ მიხაელ სკიბემ მიულოცა

პორტუგალიელთა თამაშის სტილზე ვერც მწვრთნელის შეცვლამ იმოქმედა და ვერც ნუნუ გომეშის, აბელ შავიერისა და პაულუ ბენტუს დისკვალიფიკაციამ. ისინი ისეთსავე შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ, როგორიც ევროპის ჩემპიონატიდან გვახსოვს და მატჩის საბოლოო შედეგიც ამას მოწმობს.

ლიტველთა განადგურება ჟოაუ პინტუმ დაიწყო. სპორტინგელმა ფორვარდმა მარჯვენა ფლანგიდან პაულუ სოუზას პასი მიიღო და მეკარე გიტის რადიმანსკასს შანსი არ დაუტოვა. შვიდი წუთის მერე ლუიშ ფიგუმ სხვაობა ორამდე გაზარდა.

სტუმრები ტაიმის მიწურულსღა გამოერკვნენ, როცა არტურას ფომენკამ აიდას პრეიკშაიტისისგან პასი მიიღო და ვიტორ ბაიას ახლო მანძილიდან დაურტყა. მეკარემ იყოჩაღა, ბრწყინვალე ნახტომი გააკეთა. მიუხედავად ასეთი შანსის ხელიდან გაშვებისა, ფომენკამ ბაიას მაინც გაუტანა. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე ჟორჟე კოშტამ საჯარიმოში ხელით ითამაშა და ფომენკამ პენალტი უნაკლოდ შეასრულა.

ამ მატჩში მეორე პენალტიც დაინიშნა (მეორე ტაიმის მეორე წუთზე) და ფიორენტინელმა რუი კოშტამ მესამე გაიტანა. მერე შეცვლაზე შესულთა ჯერიც დადგა და სევერუმ და პაულეტამ სტუმართა განადგურება დაასრულეს.

**ბოსნია 2:0 თურქეთი**

1:0 ბოლიჩი (39), 2:0 ტოპიჩი (90)

ბოსნია: გუსო, აკპაროვიჩი (კლაიჩი 90), მუინჯა, პუჯოროვიჩი, ვარეშანოვიჩი, პიპიჩი, ბოლიჩი (მურატოვიჩი 90), საბიჩი, მუჰიჩი (ტოპიჩი 46), სალიჰამიჯიჩი, ბალიჩი (ოლდიჩი 84)

თურქეთი: რუშთუ, უმითი, ბიულენთი (ოსმანი 77), ფათიჰი, ემრე (მეჰმეთ უქსალი 46), აბდულა (ერგუნი 46), ოკანი, სუათი (აჰმეთი 46), მეჰმეთ შუქური, დავალა უმითი (კარანი 83), ტაიფური

მსაჯი: ფელიქს იაკიმოვსკი (მაკედონია)

10 000 მაყურებელი

**გერმანია 4:1 ესპანეთი**

1:0, 2:0 შოლი (24, 51), 3:0, 4:0 ციკლერი (57, 62), 4:1 რაული (70)

გერმანია: კანი, რემერი, ნოვოტნი, მაინრიხი (ლინკე 67), დაისლერი, რამელო, ბალაკი (მამანი 78), ბოდე (ბაინლიხი 46), შოლი (ნოივილი 65), იანკერი (რინკი 73), ციკლერი

ესპანეთი: სესარი, ფულასკო (მანუელ პაბლო 46), აბელარდო, პაკო (ივან კამპო 46), ხუანფრანი, გვარდიოლა, ქერერია, ხერარდი (გუტი 46), მენდიეტა (ვალერონი 46), რაული, დანი (ტამუდო 75)

მსაჯი: ჯოუდ ერიკ ფილკერი (დანია)

45 000 მაყურებელი

რა ცოტა დრო გავიდა ევროპის ჩემპიონატის მერე და როგორ შეიცვალა გერმანიის ნაკრები. სადღა იყო ის უხერხემლო გუნდი, რომელიც ბელგია-ჰოლანდიაში ჩემპიონის ტიტულით ჩავიდა, უკან კი... ეჰ, გერმანელებს ამის გახსენებაც არ უნდათ.

ოთხშაბათს გერმანიამ ესპანეთს უმასპინძლა და პირწმინდად გაანადგურა. მეჰმეთ შოლმა და ალექსანდრ ციკლერმა დუბლები შეასრულეს, თუმცა მატჩის გმირად არც ერთი ცნეს და არც მეორე. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ჰანოვერის სტადიონზე შეკრებილი 45 ათასი გულშემატკივარი ერთხმად სკანდირებდა: ფიოლერი!

მატჩის დაწყებამდე ნაკრების ახალი მწვრთნელი და მისი თანაშემწე მიხაელ სკიბე გასახდელში განმარტოვდნენ და დიდხანს რაღაცაზე თათბირობდნენ. რუდი ფიოლერი აშკარად ნერვიულობდა — სადებიუტო მატჩში ძლიერი მეტოქე ერგო, მას კი წაგებით დაწყება არ სურდა. არადა, ბედმა გერმანული ფეხბურთის ომისშემდგომ პერიოდში უსუსტესი ნაკრები არგუნა, ამას იქაური სპეციალისტები ამტკიცებენ. ეს მატჩის წინ იყო. მერე კი რუდი ფიოლერმა გერმანიის ტელევიზიით განაცხადა: „დღეს ვითამაშეთ ის ფეხბურთი, რომელიც გვსურდა. თქვენ კი ნახეთ გერმანიის ის ნაკრები, რომელსაც დიდხანს ელოდით".

**სლოვაკეთი 1:1 ხორვატია**

1:0 შ. ნემეტი (23), 1:1 ბალაბანი (28)

სლოვაკეთი: სუკა (კონინგი 79), ვალახოვი, ვარგა, ტიმკო, ლეიტნერი, ბალიში (სლოვაკი 46), პ. ნემეტი (სედლაკი 64), დემო (უილაკი 71), ტომაშეკი (ფურიკი 71), შ. ნემეტი (ბაბნი 81), იანჩულა (მესაროში 61)

ხორვატია: პავლოვი (მლეტიკოშა 46), სიმიჩი, შტიმაცი (ტუდორი 46), რ. კოვაჩი, სტანიჩი (ვრანიეში 76), ბისკანი, სოლდო (ბოშნიაკი 76), ნ. კოვაჩი (ტომაში 81), იარნი (ცვიტანოვიჩი 46), ბალაბანი (იურიჩი 90), პროსინეჩკი

მსაჯი: როდომ ბენეში (ისრაელი)

4 200 მაყურებელი

**შვეიცარია 2:2 საბერძნეთი**

1:0 კომიზეტი (13), 1:1 უზუნიდისი (20), 1:2 გეორგიადისი (23), 2:2 ჰ. იაკინი (79)

შვეიცარია: ცუბერბიულერი, მ. იაკინი, მიულერი (მაცარელი 85), ეჩოსი (მანინი 46), კანტალუპი (კაბანასი 79), ვოგი (ლენერი 85), ვოგელი (ქამიზეტო 67), კომიზეტი (ბუელმანი 65), სფორცა, სესა (რეი 60), ჰ. იაკინი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, დაბიზასი, უზუნიდისი, ამანატიდისი, მავროგენიდისი (ბასინასი 59), ზაგორაკისი, პურსანიდისი (ზიკოსი 75), გეორგატოსი (ვენეტიდისი 84), გეორგიადისი (ნალიზისი 83), ცარტასი (კარაგუნისი 65), ლიბეროპულოსი (კაფარისისი 83)

მსაჯი: ჰ. ფანდელი (გერმანია)

6 000 მაყურებელი

**ჩრდ. ირლანდია 1:2 იუგოსლავია**

1:0 ჰეილი (45), 1:1 კეჟმანი (63), 1:2 მილოშევიჩი (78)

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ნოლანი, ა. ჰიუზი, მერდოკი (გრიფინი 81), უილიამსი, უიტლი, ჯონსონი, მეჯილტონი, ჰეილი, მალრინი (ჯ. ქუინი 68), ჰორლოკი (გილესპი 73)

იუგოსლავია: კოკოვიჩი, დუდიჩი, ჯორჯევიჩი, გრუიჩი (ობრადოვიჩი 71), ბუნიევჩევიჩი, გროზდიჩი (ილიჩი 66), საკიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი (კეჟმანი 56), დ. სტანკოვიჩი, ლაზეტიჩი

მსაჯი: ვილი იანგი (შოტლანდია)

6 095 მაყურებელი

**ისლანდია 2:1 შვედეთი**

0:1 მიალბი (23), 1:1 დადასონი (39), 2:1 სიგურდსონი (84პ)

ისლანდია: არასონი, ჰელგასონი, სვერისონი, მარტინსონი, ჰრეიდარსონი, გუდიონსონი (კოლვიდსონი 65), გუნარსონი, კრისტინსონი (გრეტარსონი 80), გუდმუნდსონი (ვიდარსი 61), დადასონი (სიგურდსონი 67), გუდიონსენი

შვედეთი: ჰედმანი (კოლშტედტი 46), ნილსონი (ა. სვენსონი 46), პ. ანდერსონი (მიხაელ სვენსონი 46), მელბერგი, ლუკიჩი, მაგნუს სვენსონი, დ. ანდერსონი (მილდი 46), მიალბი, ლიუნგბერგი (ა. ანდერსონი 46), კ. ანდერსონი (ლარსონი 46), ოლბოკი

5 116 მაყურებელი

**მოლდოვა 1:0 მალტა**

1:0 როგაჩოვი (45)

მოლდოვა: დინოვი (ხმარუკი 46), კოვალენკო, კატინსუსი, ტესტიმიცანუ (ოსიპენკო 65), რებეჯა, ს. სტროენკო, კურტიანუ (ბორეცი 67), ოპრია (ტანურკოვი 72), სოსნოვსკი (ტალპა 78), ეპურეანუ (მიშკინი 58), როგაჩოვი

მალტა: მუსკატი, ტურნერი (ჰოლანდი 46), კარაბოტი, საიდი, დეროსი, დიმეში, ბუზუტილი, გიგლიო (ტეუმა 52), სილა, კამილერი (ზარა 72), აგიუსი (ნვოკო 19, მალია 85)

მსაჯი: ჰასან ჰუდიევი (აზერბაიჯანი)

5 000 მაყურებელი

**უნგრეთი 1:1 ავსტრია**

1:0 ილეში (33), 1:1 კირხლერი (67)

უნგრეთი: კირალი, შებოკი, მატიუში, ჩ. ფეჰერი, ჰალმაი (დარდაი 56), კორსოში, ჰამარი (როსა 88), ლისტეში, ილეში (ლენდვაი 72), ჰორვატი, ტოკოლი (მერჩეგი 70)

ავსტრია: ვოლფარტი (მანინგერი 46), ჰაცი, ნოიკირხნერი, ვინკლჰოფერი (კუჰბაუერი 46), შტრანცლი, ფლოგელი, კირხლერი, ჩერნი, ჰერცოგი (კიტშბიხლერი 57), შოპი, რადოვიჩი (ბრუნმაიერი 68)

მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)

5 000 მაყურებელი

ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე" ამხანაგური, თან მეზობლური მატჩი შედგა. მეზობელთა მტრობა კი სად გაგონილა და გუნდებმაც ნელ ტემპში დაწყებული თამაში ასევე დაამთავრეს. მოკლედ, ორიოდე ეპიზოდის გარდა საინტერესო არაფერი მომხდარა.

სხვებზე მეტად აქტიურობდა ბრემენის „ვერდერის" ანდრეას ჰერცოგი და ისიც მანამ, სანამ მასპინძლები ანგარიშს გახსნიდნენ. გოლი კი უნგრელთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა ბელა ილეშმა გაიტანა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ატილა ტოკოლის გარჯაც, რომელმაც საგოლე სიტუაცია მოამწიფა.

ილეშს დუბლის შესრულებაც შეეძლო. მეორე ტაიმში მან ავსტრიელთა არსენალელი მეკარე ალექს მანინგერი მოატყუა, მაგრამ ბოლო წამს მცველმა დიტმარ კუჰბაუერმა იყოჩაღა.

საპასუხო გოლი რონალდ კირხლერმა მიითვალა და გუნდები მეზობლურად და ამხანაგურად დაშორდნენ ერთმანეთს.



REUTERS ბუდაპეშტიდან

უნგრეთი — ავსტრია 1:1. უნგრელი ფერენც ჰორვატი (№9) და ავსტრიელი მარტინ შტრანცლი ბურთისთვის იბრძვიან

**ლატვია 0:1 ბელარუსი**

0:1 ვასილიუკი (60)

1 930 მაყურებელი

**იაპონია 3:1 საამიროები**

1:0 მორიშიმა (11), 2:0 ნაკამურა (27), 3:0 ოკუ (87), 3:1 ჰამადა (90)

32 402 მაყურებელი

**ალბანეთი 0:0 კვიპროსი**

6 000 მაყურებელი

**უკრაინა — ჩინეთი**

არ ჩატარდა

**საფრანგეთი 5:1 ფიფა**

1:0, 2:0, 3:0 ტრეზეგე (11, 27, 46), 4:0 პირესი (56), 5:0 ანელკა (78), 5:1 ბაჯო (79პ)

საფრანგეთი: ბარტეზი (რამე 46), კანდელა, ბლანი (ლებეფი 51), დესაი, ლიზარაზუ (კარამბეუ 75), პეტი (პირესი 46), დეშამპი (ვიეირა 60), ზიდანი, დიუგარი, ტრეზეგე (ანელკა 51), ანრი (ჯორკაეფი 46)

ფიფა: კოიპკე (სონგო 46), სონგი, ალდაირი (ფერარა 57), დესაი (ალ მუვალადი 57), ვესტი (ლასისი 46), ვინტერი (ზაია 46), მაოგენ სუ (ჩულ იო 46), რ. ბაჯო, ნაკატა (ელ ჰამი 46), ნვანკვო (ტიამი 46), კუფური (ზე ელიასი 57)

მსაჯი: მოჰამედ ჯეზაზი (მაროკო)

60 000 მაყურებელი

საფრანგეთის ნაკრებისა და ფიფას რჩეულთა მატჩი უფრო სეირის მოყვარულთათვის იყო განკუთვნილი და მარსელის „ველოდრომზე" 60 ათასი მაყურებელი მიიზიდა.

რამდენად იყო ფიფას ნაკრები მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებისგან შემდგარი, თავად განსაჯეთ, როჟე ლემერმა კი ევროპის ჩემპიონატის გმირებს უკლებლივ მოუყარა თავი. იტალიელთა დამღუპველმა დავიდ ტრეზეგემ ამჯერად ჰეთ თრიქი შეასრულა, რითაც საჩვენებელი მატჩი თავის ბენეფისად აქცია. მერე რობერ პირესმა და ნიკოლა ანელკამაც თითო-თითო მიუმატეს და, ფიფას ნაკრებს უპატივცემულობად რომ არ ჩათვლოდათ, ერთი პენალტი გაატანინეს.

საინტერესო თამაში გამოდგა და მაყურებლებმაც ბილეთებში გადახდილი ფული წყალში ჩაყრილად არ ჩათვალეს, თუმცა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, ევროპის ჩემპიონატის მერე ყველანი გამოფიტულები ვართ და ფეხები ძლივს გვემორჩილებოდნენო. ფრანგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი დაღლილობა შეუმჩნეველი დარჩა.

რობერტო ბაჯოც უნდა მოვიხსენიოთ. შეხვედრის მონაწილეთაგან ის ერთადერთი იყო, ვისაც თავისი თამაშით კლუბების გამოწვევა განეზრახა. „ხომ ნახეთ — ამბობს ბაჯო — 90 წუთი დაუღალავად ვითამაშე. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ დავბერდი და მოედანზე აღარაფერი მესაქმება. თამაში მსურს და თუ იტალიაში ჩემი შესაფერისი კლუბი არ გამოიძებნა, უცხოეთს მივაშურებ, დავამტკიცებ, რომ ბაჯო ნაადრევად ჩამოწერეს".

**გიორგი დარჯანია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 001 | კოტბუსი-დორტმუნდი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 002 | მიუნხენ 1860-ვერდერი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 003 | უნტერჰახინგი-ფრაიბურგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 004 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტ. | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 005 | ბოხუმი-ბაიერნი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 006 | ჰერტა-ჰამბურგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 007 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 008 | ჰანზა-შალკე | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 009 | კიოლნი-აინტრახტი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 010 | ქემნიცი-ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 011 | ზანქტ პაული-ვალდჰოფი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 012 | ალემანია-როიტლინგენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 013 | ოსნაბრიუკი-მიონხენგლადბ. | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 014 | ნიურნბერგი-ალენი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 015 | ნიურნბერგი-ალენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 016 | მაინცი-კიკერსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 017 | ობერჰაუზენი-დუისბურგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 018 | ზაარბრიუკენი-ფიურტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | 21 აგვისტო | | | |
| 019 | ულმი-არმინია | 1,9 | 3,0 | 3,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 020 | ჩარლტონი-სიტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 021 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 022 | ქოვენთრი-მიდლსბრო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 023 | დერბი-საუთჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 024 | ლიდსი-ევერტონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 025 | ლესტერი-ასტონ ვილა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 026 | ლივერპული-ბრედფორდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 027 | ლივერპული-ბრედფორდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 028 | სანდერლენდი-არსენალი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 029 | ტოტენჰემი-იფსვიჩი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 030 | ტოტენჰემი-იფსვიჩი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 031 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 032 | მანჩესტერი-ნიუკასლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 21 აგვისტო | | | |
| 033 | არსენალი-ლივერპული | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 034 | ბირმინგემი-ფულემი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 035 | ბარნლი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 036 | ქრიუ-ბლექბერნი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 037 | ნორვიჩი-ნოტინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 038 | პორტსმუთი-გრიმსბი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 039 | პრესტონი-შეფილდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 040 | უენსდი-ჰადერსფილდი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 041 | სტოკპორტი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 042 | ტრანმერი-ჯილინგემი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 043 | უოტფორდი-ბარნსლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 044 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 045 | კრ.პალასი-ქუინზ პარკი 17.00 | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 046 | კოლჩესტერი-როტერჰემი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 047 | ბორნმუთი-კემბრიჯი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 048 | ბრენტფორდი-სუონსი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 049 | ბრისტოლი-სტოკი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 050 | ბერი-რექსემი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 051 | ნოტსი-მილუოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 052 | პორტ ვეილი-ოქსფორდი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 053 | რედინგი-სუინდონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 054 | უოლსოლი-ოლდემი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 055 | უიგანი-ლუტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 056 | უიკომბი-ნორთჰემპტონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 057 | პიტერბრო-როვერსი 16.00 | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 058 | ბრაიტონი-როჩდეილი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 059 | კარდიფი-ბლეკპული | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 060 | დარლინგტონი-ექსეტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 061 | დარლინგტონი-ექსეტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 062 | ჰალიფაქსი-ლინკოლნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 063 | ჰართლპული-ჩესტერფილდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 064 | ჰალი-პლიმუთი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 065 | ლეიტონი-კარლაისლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 066 | ბარნეტი-მენსფილდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 067 | სკანთორპი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 068 | შრიუსბერი-მაკლსფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 069 | ტორკი-საუთენდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 070 | იორკი-ჩელტენემი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 071 | ბასტია-ლიონი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 072 | სენტ ეტიენი-ბორდო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 073 | ლანსი-ტულუზი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 074 | მეცი-პსჟ | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 075 | ნანტი-მარსელი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 076 | რენი-სტრასბური | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 077 | სედანი-ლილი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 078 | ტრუა-ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 079 | მონაკო-გენგამი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 080 | მონაკო-გენგამი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 081 | ნანსი-ბოვუა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 082 | ნანსი-ბოვუა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 083 | ანჟე-ლე მანი | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 084 | კანი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 085 | გენიონი-კრეტეი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 086 | ლავალი-კაენი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 087 | ლე ავრი-ნიმი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 088 | ლორიანი-შატორუ | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 089 | მონპელიე-ნიორი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 090 | მონპელიე-ნიორი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 091 | სოშო-აიაჩო | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 092 | ვასკეალი-ნიცა | 2,4 | 2,8 | 2,9 |

### პორტუგალია. I ლიგა. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 093 | ბეირა მარი-ბოავიშტა | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 094 | პორტუ-ბენფიკა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 095 | ბრაგა-გიმარაეში | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 096 | შავეში-ბელენენსეში | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 097 | სალგეირუში-ფერეირა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 098 | ჟილ ვისენტე-კამპომაიორენსე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 099 | ალვერკა-მარიტიმუ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 100 | ლეირია-ამადორა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 101 | სპორტინგი-ფარენსე | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 102 | სპორტინგი-ფარენსე 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### პორტუგალია. II ლიგა. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 აგვისტო | | | |
| 103 | ნავალი-მაია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 104 | ესპინიუ-შავეში | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 105 | მარკუ-სანტა კლარა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 106 | ლამაში-ნასიონალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 107 | აკადემიკა-ფელგეირაში | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 108 | ვარზიმი-ლეცა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 109 | პენაფიელი-რიუ ავე | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 110 | ფრეამუნდე-ოვარენსე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 111 | სეტუბალი-იმორტალი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 112 | სეტუბალი-იმორტალი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 აგვისტო | | | |
| 113 | სპარტა-როდა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 114 | გრააფსხაპი-პსვ | 6,0 | 3,3 | 1,55 |
| 115 | ბრედა-ვალვაიკი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 116 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 117 | ფეიენოორდი-ალკმაარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 118 | უტრეხტი-ჰერენვენი 17.30 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 119 | როზენდალი-ნაიმეგენი 17.30 | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 120 | გრონინგენი-ტილბურგი 17.30 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 121 | ვიტესი-ტვენტე | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 122 | ტელსტარი-ექსელსიორი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 123 | ვენლო-ვოლენდამი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 124 | ჰერაკლესი-ჰაარლემი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 125 | მაასტრიხტი-დენ ბოსხი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 126 | ჰელმონდი-დორდრეხტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 127 | ვეენდამი-იგლსი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 128 | დენ ჰააგი-ოსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 129 | დენ ჰააგი-ოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 21 აგვისტო | | | |
| 130 | ზვოლე-ემენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 131 | ეინდჰოვენი-კამბური | 2,3 | 3,1 | 2,8 |

ბელგია. I დივიზიონი. მე-2 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 132 | სტანდარდი-ლუვიე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 133 | სტანდარდი-ლუვიე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 134 | შარლერუა-ჰარელბეკე | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 135 | ანტვერპენი-ბევერენი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 136 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 137 | ანდერლეხტი-ვესტერლო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 138 | სენტ ტრუიდენი-ლიერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 139 | გენკი-აალსტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 140 | გენკი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 141 | გენტი-მეხელენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 142 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 143 | მუსკრონი-ბრიუგე | 2,7 | 3,0 | 2,4 |

ჩეხეთი. მე-4 ტური

18 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 144 | სინოტი-პლზენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 145 | ბრნო-სიგმა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 146 | სლავია-ლიბერეცი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 147 | იაბლონეცი-სპარტა | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 148 | ჟიჟკოვი-ტეპლიცე 13.15 | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 149 | ბლშანი-პრჟიბრამი | 1,65 | 3,3 | 4,0 |
| 150 | ბუდეიოვიცე-ბანიკი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 151 | დრნოვიცე-ბოჰემიანსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

პოლონეთი. მე-5 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 152 | ვისლა-პოგონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 153 | რუხი-პოლონია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 154 | ზაგლებე-ვიძევი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 155 | შლიონსკი-სტომილი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 156 | ამიცა-კატოვიცე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 157 | ამიცა-კატოვიცე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 158 | პლოცკი-ოდრა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 159 | ლეგია-გურნიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 160 | ლეგია-გურნიკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 161 | რაძიონკოვი-გროცლინი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

თურქეთი. მე-2 ტური

18 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 162 | ანთალია-ბეშიქთაში | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 163 | იეთფა-რიზე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 164 | ანკარაგიუჯიუ-ქოჯაელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 165 | იოზგათი-დენიზლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 166 | გალათასარაი-ერზურუმი | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 167 | გალათასარაი-ერზურუმი 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 168 | ტრაბზონი-ბურსა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 169 | ტრაბზონი-ბურსა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 170 | გაზიანთეფი-სამსუნი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 171 | გენჩლერბირლიგი-ადანა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 172 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 173 | ფენერბაჰჩე-ისთანბული 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

შოტლანდია. მე-5 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 175 | დანდი იუნ.-სენტ ჯონსტონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 176 | ჰართსი-სელტიკი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 177 | კილმარნოკი-მოზერუელი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 178 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 179 | რეინჯერსი-დანფერმლაინი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 180 | სენტ მირენი-დანდი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

შოტლანდია. გადადებული მატჩი

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

ავსტრია. მე-8 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | ადმირა-ბრეგენცი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 183 | აუსტრია-ლინცერი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 184 | აუსტრია-ლინცერი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 185 | გრაცერი-შტურმი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 186 | ტიროლი-ზალცბურგი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 187 | რიდი-რაპიდი | 3,6 | 2,9 | 2,0 |

შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-7 ტური

18 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | სენტ გალენი-სიონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 189 | არაუ-ლოზანა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 190 | ლუგანო-ქსამაქსი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 191 | სერვეტი-ბაზელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 192 | ივერდონი-გრასჰოპერი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 193 | ციურიხი-ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-9 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 194 | სოლოთურნი-კარუჟი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 195 | ვანგენი-ლოკარნო | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 196 | ვინტერთური-ვილი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 197 | ბელინცონა-დელემონი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 198 | კრინსი-თუნი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 199 | იანგ ბოისი-ბადენი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 200 | იანგ ბოისი-ბადენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

დანია. მე-5 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 201 | ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 202 | ორჰუსი-აკადემისკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 203 | სილკებორგი-ოდენსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 204 | ვიბორგი-ჰადერსლევი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 205 | ვიბორგი-ჰადერსლევი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 206 | ლიუნგბიუ-ოლბორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | 21 აგვისტო | | | |
| 207 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

რუსეთი. 22-ე ტური

18 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 208 | ზენიტი-ცსკა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | 19 აგვისტო | | | |
| 209 | დინამო-ლოკომოტივი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 210 | ნ.ნოვგოროდი-კრილია | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| 211 | როტორი-ფაკელი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 212 | ტორპედო-როსტსელმაში | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 213 | ტორპედო-როსტსელმაში 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 214 | ჩერნომორეცი-ალანია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 215 | სატურნი-ურალანი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 216 | სატურნი-ურალანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 217 | ანჟი-სპარტაკი | 3,5 | 3,0 | 2,0 |

შვედეთი. მე-16 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 218 | ჰელსინგბორგი-გეტებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 219 | ნორჩიოპინგი-ჰალმსტადი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 220 | სუნდსვალი-აიკ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 221 | იორგრიტე-ფრიოლუნდა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 222 | იორგრიტე-ფრიოლუნდა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 21 აგვისტო | | | |
| 223 | გაის-ტრელებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 224 | ჰამარბი-ჰეკენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 225 | იორებრო-ელფსბორგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

ნორვეგია. მე-20 ტური

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 226 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრ. | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 227 | ბრინი-სტაბეკი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 228 | მოსი-ჰაუგესუნდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 229 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 230 | სტარტი-ვიკინგი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 231 | ვოლერენგა-ბრანი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 232 | ტრომსიო-მოლდე | 1,9 | 3,3 | 3,4 |

იტალია. თასის მე-3 ტური

20 აგვისტო

| | |
|---|---|
| 233 | კიევო-პიაჩენცა |
| 234 | მონცა-ვიტერბეზე |
| 235 | სამპდორია-ემპოლი |
| 236 | კროტონე-ფერმანა |
| 237 | ატალანტა-პისტოიეზე |
| 238 | რავენა-აველინო |
| 239 | ჩიტადელა-კალიარი |
| 240 | სალერნიტანა-ასკოლი |
| 241 | ტორინო-ტერნანა |
| 242 | ჩეზენა-ვარეზე |
| 243 | ვენეცია-სიენა |
| 244 | სავოია-პესკარა |
| 245 | ანკონა-კოზენცა |
| 246 | პიზა-ჯენოა |
| 247 | ბრეშელო-ტრევიზო |
| 248 | ბრეშა-ალძანო |

ესპანეთი. სუპერთასი. I მატჩი

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 249 | ესპანიოლი დეპორტივო | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

16 აგვისტო

*დალას მავერიქსი: შეიძინა ფორვარდი ბილ კერლი (გოლდენ სტეიტიდან); შეიძინა უკანახაზელი ჰოვარდ ეისლი (იუტადან).*

*გოლდენ სტეიტ ვორიორზი: შეიძინა ფორვარდი დენი ფორტსონი (ბოსტონიდან).*

*ფილადელფია 76: შეინარჩუნა ფორვარდი ტონი კუკოჩი; აიყვანა უკანახაზელი ჯერმენ ჯექსონი (დეტროიტიდან).*

*საკრამენტო კინგზი: შეინარჩუნა ფორვარდი პრედრაგ სტოიაკოვიჩი.*

*სიეტლ სუპერსონიქსი: შეინარჩუნა ცენტრი ჯელანი მაკკოი.*

*იუტა ჯაზი: შეიძინა ცენტრი ბრუნო სუნდოვი (დალასიდან).*

*ჩიკაგო ბულზი: აიყვანა ცენტრი დრაგან ტარლაჩი.*

# კუკოჩმა სიტყვა შეასრულა და ფილადელფიაში დარჩა

**ხორვატი** ფორვარდი ტონი კუკოჩი „ფილადელფია 76“-ში დარჩა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ბილი კინგმა განაცხადა, რომ ახალი კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია და მისი დეტალები ამ დღეებში გამომზეურდება. თავად კუკოჩისგან ვერაფერი შეიტყვეს, რეპორტიორებმა იგი ვერ მოიხელთეს.


ტონი კუკოჩი

31 წლის კუკოჩი წლეულს 16 თებერვალს გადავიდა „ფილადელფიაში“. სამმა გუნდმა — „ფილადელფიამ“, „ჩიკაგო ბულზმა“ და „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“ ხუთკაციანი ვაჭრობა მოაწყვეს, რომლის შემდეგაც ხორვატმა „ჩიკაგოდან“ ახალ გუნდს მიაშურა. კუკოჩმა წინა სეზონში „ფილადელფიას“ 32 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მატჩში საშუალოდ 12,4 ქულა, 4,5 მოხსნა, 4,4 პასი და 1,0 ჩაჭრა გაკეთა. პლეი ოფში კი მისი საშუალო მაჩვენებლები 13,1 ქულა, 3,9 მოხსნა, 2,9 პასი და 1,2 ჩაჭრა იყო.

„ფილადელფიაში“ მისულ კუკოჩს თავდაპირველად პრობლემები შეექმნა. მან ვერააწყო ურთიერთობა ახალ თანაგუნდელებთან, რაც უმალ მოედანზეც გამოჩნდა: ფილადელფიელები ხშირად პასს არ აძლევდნენ გახსნილ ხორვატს. კუკოჩმა ეს არად ჩააგდო და თავისუფალ აგენტად გახდომის შემდეგ აღნიშნა, რომ „ფილადელფიიდან“ წასვლას არ აპირებდა. მან სიტყვა შეასრულა და ძველ გუნდში დარჩა.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კუკოჩმა 1993 წელს გამოჩნდა. იგი „ჩიკაგო ბულზის“ წევრი გახდა და ამ გუნდთან ერთად სამჯერ მოიგო ასოციაციის ჩემპიონობა. 1996 წელს იგი სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ დაასახელეს. კარიერაში 468 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 13,9 ქულა, 4,8 მოხსნა, 4,2 პასი და 1,1 ჩაჭრა გააკეთა. 81 მატჩში ოცზე მეტი ქულა ჩააგდო, ხოლო რვა მატჩში — ოცდაათ ქულაზე მეტი. მის ანგარიშზეა ორი სამმაგი დუბლი.

კუკოჩი ევროპის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. ამერიკაში გადაბარგებამდე იგი ძველ კონტინენტზე თამაშობდა და არაერთი ტიტული მოიგო. იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ მშობლიური ხორვატიის ნაკრებში თამაშობს და ოლიმპიურ და ევროპის პრიზიორობასაც მიაღწია. სპლიტის „იუგოპლასტიკას“ რიგებში სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. სამჯერ აღიარეს ევროპის წლის საუკეთესო კალათბურთელად.

კუკოჩთან ერთად „ფილადელფიამ“ კონტრაქტი გაუფორმა „დეტროიტ პისტონზის“ ყოფილ უკანახაზელს ჯერმენ ჯექსონს. იგი წინა სეზონში ახალბედა იყო და მხოლოდ შვიდ მატჩში მიიღო მონაწილეობა. მოედანზე საშუალოდ 10,4 წუთი გაატარა და 1,0 ქულა და 1,6 მოხსნა მიითვალა.

# როგორ გაიფანტა ცხრა მოთამაშე ოთხ მხარეს

**ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში** გამორჩეული რამ მოხდა. ლიგის ისტორიაში პირველად მოეწყო გაცვლა, რომელშიც ოთხმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ოთხშაბათს ასოციაციის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა ამ გარიგების პროექტი და ერთბაშად ცხრა კალათბურთელმა ახალ გუნდს მიაშურა.


„გოლდენ სტეიტი“ დენი ფორტსონის მესამე გუნდი იქნება

გაცვლა ძალიან რთული და ჩახლართული გამოდგა. აკი აღნიშნა კიდეც „დალას მავერიქსის“ გენერალურმა მენეჯერმა კრის ვოლესმა, არ მეგონა თუკი ამ საქმეს საშველი დაადგებოდა, იმდენი წინააღმდეგობა და გაუგებრობა შეგვხვდაო. ჩვენ კი, სიმარტივისთვის, თავიდან ის ვთქვათ, რომელმა გუნდმა რომელი კალათბურთელი დაისაკუთრა.

*„დალას მავერიქსმა“: უკანახაზელი ჰოვარდ ეისლი (იუტადან), უკანახაზელი დანა ბაროსი (ბოსტონიდან), ფორვარდი ბილ კერლი (გოლდენ სტეიტიდან).*

*„ბოსტონ სელტიქსმა“: უკანახაზელი რობერტ პეკი და ცენტრი ჯონ „ჰოთ როდ“ ვილიამსი (ორივე დალასიდან). „სელტიქსმა“ აგრეთვე მიიღო მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანი (იუტასგან) და გარკვეული რაოდენობის თანხა (დალასისგან).*

*„იუტა ჯაზმა“: ფორვარდი დონიელ მარშალი (გოლდენ სტეიტიდან), ცენტრი ბრუნო სუნდოვი (დალასიდან).*

*„გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“: ფორვარდი დენი ფორტსონი (ბოსტონიდან), ფორვარდი ადამ კიფი (იუტადან).*

ჰოვარდ ეისლიმ ხუთი სეზონი „იუტა ჯაზში“ გაატარა და ჯონ სტოქტონისა და ჯეფ ჰორნაჩეკის შემცვლელი იყო. წინა სეზონი მისთვის ყველაზე ნაყოფიერი იყო — მატჩში საშუალოდ 8,6 ქულა და 4,2 პასი გააკეთა. ეისლი თავისუფალი აგენტი იყო. „იუტამ“ ჯერ გაუფორმა მას კონტრაქტი, ხოლო შემდეგ გაყიდა „დალასში“. მისი ახალი კლუბის მფლობელი მარკ კუბანი კმაყოფილია: „ეისლი იმ ტიპის მოთამაშეა, რომელიც გვჭირდება. იგი საკმაოდ გამოცდილია და ვფიქრობ, „დალასის“ სასტარტო ხუთეულში მოხვდება“.

დანა ბაროსმა 13 სეზონი გაატარა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, ისევე როგორც ჯონ „ჰოთ როდ ვილიამსმა“. პირველმა დატოვა „ბოსტონი“, ხოლო მეორე იქ მივიდა. ამდენად, სელტიქსელებმა ერთი ვეტერანი მეორით შეცვალეს ერთ დროს ლიგის უძლიერესი გუნდის უკანა ხაზს უდავოდ გააძლიერებს რობერტ პეკი, რომელიც „დალასში“ სამი წელიწადი იყო და ტრავმებით გაიტანჯა.

დონიელ მარშალს ლიგაში თამაშის ექვსწლიანი გამოცდილება აქვს. „იუტაში“ გადასვლამდე „მინესოტა ტიმბერვულვზში“ და „გოლდენ სტეიტში“ გამოდიოდა. წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 14,2 ქულას და 10 მოხსნას აკეთებდა. 23 თებერვალს „მილუოკი ბაქსს“ 37 ქულა ჩაუგდო. „იუტას“ ვიცე-პრეზიდენტმა კევინ ოკონორმა ასე ახსნა მარშალის გადმოყვანა: „ჩვენ ვეძებდით ახალგაზრდა და ძალისმიერ მოთამაშეს. დონიელ მარშალი ორივე მოთხოვნას აკმაყოფილებს. მას სხვადასხვანაირად შეუძლია თამაში და ჩვენს გუნდს მრავალფეროვნებას შესძენს“. მართლაც, მარშალი ფრთაა, მაგრამ თავდამსხმელადაც რიგიანად თამაშობს. ეს იმას ნიშნავს, რომ კარლ მელოუნს და ბრაიონ რასელს ძლიერი დამხმარე მიუვიდათ.

დანი ფორტსონმა პირველი ორი სალიგო სეზონი „დენვერ ნაგითსში“ გაატარა, შემდეგ კი „ბოსტონში“ გადავიდა. ამ ერთობ ნიჭიერ და მრავალმხრივ კალათბურთელს წინა სეზონში ჩაუვარდა — ტრავმების გამო მხოლოდ 55 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ფორტსონს არცერთ შეხვედრაში არ დაუყვია მოედანზე 27 წუთზე მეტი. მიუხედავად ამისა, საშუალოდ 7,6 ქულა და 6,7 მოხსნას მაინც აკეთებდა. ზაფხულში ფორტსონი თავისუფალი აგენტი გახდა და „ბოსტონის“ მიტოვება გადაწყვიტა. მან მოლაპარაკება გააბა „ნიუ იორკ ნიქსთან“ და მზად იყო ერთწლიანი კონტრაქტის გასაფორმებლად. სწორედ ამ დროს მომწიფდა ოთხგუნდიანი გარიგება, რომელშიაც „გოლდენ სტეიტმა“ ფორსტონს შესთავაზა ის, რასაც „ნიუ იორკი“არც კი დაპირდებოდა: ადგილი სასტარტო ხუთეულში. „ბოსტონმა“ კონტრაქტი გაუფორმა მოთამაშეს და მერე გაყიდა „გოლდენ სტეიტში“.

დანარჩენ სამ მოთამაშეზე სათქმელი ბევრი არაფერია. ხორვატი ბრუნო სუნდოვის სიმაღლე 215 სანტიმეტრია, ადამ კიფის ცხრა წელი გაუტარებია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, ხოლო ბილ კერლიმ შარშან ორ გუნდში — „ჰიუსტონ როკიტსში“ და „გოლდენ სტეიტში“ ითამაშა. მისი საშუალო შედეგიანობა 2,7 ქულა და 1,8 მოხსნა იყო.

# სიეტლმა მაკკოი არავის დაანება


ჯელანი მაკკოი

**არცთუ** შთამბეჭდავი სეზონის მიუხედავად, „სიეტლ სუპერსონიქსი“ ვერ შეელია ცენტრ ჯელანი მაკკოის და ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი დაუდო. კლუბის პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა ველი უოლკერმა დაადასტურა ეს ცნობა და აღნიშნა: „ჯელანის კარგი მომავალი აქვს. გვიხარია, ჩვენთან რომ დარჩა“.

„სიეტლმა“ 1998 წელს, ვლადიმერ სტეფანიასთან ერთად დაისაკუთრა მაკკოი. იგი დრაფტის 33-ე ნომერი იყო და პირველ სეზონში მატჩში საშუალოდ 5,1 ქულა და 3,0 მოხსნა გააკეთა. მეორე სეზონში იგი 58-ჯერ გამოვიდა მოედანზე. 13 შეხვედრა კოჭის ტრავმის გამო გამოტოვა, დანარჩენებში მწვრთნელმა არ ათამაშა. მაკკოის შედეგიანობამაც იკლო — საშუალოდ 4,3 ქულა და 3,1 მოხსნა.

„სონიქსის“ მწვრთნელი პოლ ვესტფოლი მაკკოიზე გარკვეულ იმედებს ამყარებს: „ორ წელიწადში ჯელანი ძალიან გაიზარდა. იგი ჩვენი გუნდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად უნდა იქცეს“. მაკკოის კარიერის საუკეთესო შედეგია 15 ქულა და 11 მოხსნა.


## იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23




საქართველოს კალათბურთის
ფედერაცია იუწყება, რომ
გარდაიცვალა
საქართველოს ნაკრების
წევრი
**ირაკლი ვაშაკიძე**
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საკალათბურთო კლუბი
„ვითა“ იუწყება, რომ
გარდაიცვალა გუნდის
ყოფილი მოთამაშე
**ირაკლი ვაშაკიძე**
და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს

საკალათბურთო კლუბი
„ბასკო“ იუწყება, რომ
გარდაიცვალა
საქართველოს ნაკრების
წევრი
**ირაკლი ვაშაკიძე**
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

# იუგოსლავიელების თავგადასავალი ამერიკაში

ოთხმაბათს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორმა გუნდმა ორ იუგოსლაველ კალათბურთელს გაუფორმა კონტრაქტი. თუკი ფორვარდი პრედრაგ სტოიაკოვიჩი პლანეტის უძლიერეს ლიგაში მესამე სეზონს დაიწყებს, ცენტრი დრაგან ტარლაჩისთვის ეს სამყარო სრულიად ახალი იქნება.

## საკრამენტოელი სტოიაკოვიჩი

„პრედრაგი ძალიან ნიჭიერი, ახალგაზრდა მოთამაშეა. იგი მომავალში დიდად დაგვეხმარება. სტოიაკოვიჩს აქვს შრომის კულტურა, რაც ხელს შეუწყობს ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს კალათბურთელად ჩამოყალიბებაში. მას აქვს არაჩვეულებრივი ბუნებრივი მონაცემები და ყოველთვის თავდაუზოგავად... ალისიანად მუშაობს"— ასე ახასიათებს „საკრამენტო კინგზის" ვიცე-პრეზიდენტი ჯეფ პეტრი 23 წლის იუგოსლაველ ფორვარდ პრედრაგ სტოიაკოვიჩს. რაღა გასაკვირია, რომ კლუბმა ხელიდან არ გაუშვა მოთამაშე და ახალი, მრავალწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას მიიღებს კალათბურთელი.

„საკრამენტომ" 1996 წლის დრაფტში მე-14 ნომრად აირჩია სტოიაკოვიჩი, მაგრამ კონტრაქტი არ გაუფორმა და ევროპაში დააბრუნა. კალათბურთელმა ორი სეზონი საბერძნეთის ლიგაში გაატარა და 1998 წელს კვლავ ჩავიდა ამერიკაში. იგი „საკრამენტოს" წევრი გახდა და იმდენი მოახერხა, რომ გუნდის საუკეთესო მეექვსე მოთამაშე იქცა.

წინა სეზონში სტოიაკოვიჩმა 74 მატჩი ითამაშა (11-ჯერ სასტარტო ხუთეულში მოხვდა). მოედანზე საშუალოდ 23,6 წუთი დაჰყო და 11,9 ქულა, 3,7 მოხსნა და 1,4 პასი გააკეთა. პლეი ოფის პირველ წრეში, სადაც „საკრამენტო" „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" დამარცხდა, იუგოსლაველის საშუალო შედეგიანობა 8,8 ქულა და 3,4 მოხსნა იყო. სტოიაკოვიჩი ლიგაში მეექვსე ადგილზეა ჩაგდებული საჯარიმოების პროცენტული მაჩვენებლით (88,2 პროცენტი) 43-ჯერ მატჩში 10 ქულაზე მეტი გააკეთა, 12-ჯერ — 20 ქულაზე მეტი, ხოლო ერთხელ — 30 ქულაზე მეტი. სტოიაკოვიჩი იუგოსლავიის ნაკრების წევრია და მონაწილეობას მიიღებს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში.



პრედრაგ სტოიაკოვიჩი



დრაგან ტარლაჩი

## ჩიკაგოელი ტარლაჩი

27 წლის იუგოსლაველი ცენტრი დრაგან ტარლაჩის და „ჩიკაგო ბულზის" ურთიერთობა 1995 წელს დაიწყო. კლუბმა დრაფტის მეორე წრეში, 31-ე ნომრად აირჩია კალათბურთელი და უმალ ევროპაში დააბრუნა. ტარლაჩი საბერძნეთში, პირეოსის „ოლიმპიაკოსში" თამაშობდა და გუნდის ლიდერი გახლდათ. „ჩიკაგომ" ხუთი წელი მოიცადა და წლეულს გაუფორმა კონტრაქტი იუგოსლაველს. ტარლაჩი ერთი სეზონი ითამაშებს „ბულზში" და სამ მილიონ დოლარს მიიღებს.

„ძალიან გვიხარია, რომ დრაგანი ჩვენთანაა. სწორედ ახლა დადგა მისი გადმოყვანის დრო. ტარლაჩი გონიერი მოთამაშეა, ძლიერია დაცვაში და ფარზე" — ეს „ჩიკაგოს" აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის ჯერი კრაუზეს სიტყვებია.

ტარლაჩი 19 წლისა იყო, როცა იუგოსლავიიდან საბერძნეთში გადაბარგდა და „ოლიმპიაკოსში" ჩაირიცხა. მან რვა სეზონი გაატარა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში და არაერთხელ გახდა საბერძნეთის ჩემპიონი. 1997 წელს „ოლიმპიაკოსმა" ევროლიგა მოიგო, ხოლო იმავე წელს „მაკდონალდსის" თასზე „ჩიკაგო ბულზს" დაუპირისპირდა. იმ შეხვედრაში ტარლაჩმა 14 ქულა და 11 მოხსნა გააკეთა.

კონტრაქტის გაფორმებისთანავე ტარლაჩი იტალიის ქალაქ როსეტოში გაემგზავრა, სადაც იუგოსლავიის ნაკრები წინასაოლიმპიადო შეკრებაზე იმყოფება. ტარლაჩი სიდნეიში ითამაშებს. მეტიც, იგი, შესაძლოა, იუგოსლაველთა ძირითად ცენტრად მოგვევლინოს, რადგან ვლადე დივაცმა იუარა ოლიმპიადაში მონაწილეობა, ხოლო ჟელკო რებრაჩა ტრავმირებულია და მისი სიდნეიში ასპარეზობის საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის.



# კრონფელდი შავებს საფრანგეთში გაეყრება



ჯოშ კრონფელდი

ახალი ზელანდიის ნაკრების შერკინების მესამეხაზელი ჯოშ კრონფელდი, „ოლ ბლექსის" კვართს უკანასკნელად ნოემბერში მოირგებს. ...მოღგომაზე „შავები" საფრანგეთში ...ტად დე ფრანსზე" „მამლებს" დაუპირისპირდებიან.

კუნძულელთა საფრანგეთში გამართული ტურნე დიდი მორაგბისთვის ნაკრებთან გამოთხოვების მშვენიერი მომენტი იქნება. კრონფელდი, რომელიც არასოდეს შერკინებია ფრანგებს მათსავე მიწაზე, ამბობს, რომ ეს ტურნე მის სანაკრებო კარიერაში ნამდვილად უკანასკნელი იქნება.

„თუ „ოლ ბლექსის" ხელმძღვანელობა საფრანგეთში წამსვლელთა სიაში ჩამრთავს, ეს ჩემი ბოლო ტურნე იქნება, თუ არადა, გამოვა, რომ ნაკრებს უფრო ადრე დავემშვიდობე" — უთხრა გუშინ კრონფელდმა ჟურნალისტებს.

იგი ახლა სამხრეთ აფრიკასთან სამი ერის პირველობაზე სათამაშოდ ემზადება და, თანაც 19 აგვისტოს ერთ რეკორდსაც ჩამოართმევს ლეგენდარულ მაიკლ ჯონსს — შაბათს „ქურციკებთან" კრონფელდი 54-ე კეპს მოიხვეჭს და შერკინების მესამეხაზელებში ახალზელანდიელთაგან ყველაზე მეტი შეხვედრა ექნება ჩატარებული.

სამი ერის მატჩებში ლეგენდათა რეკორდები პანტა-პუნტით ემხობა. წინა ტურში, ახალი ზელანდია ავსტრალიას მასპინძლობდა და ენდრიუ მერთენსმა ნაკრებში მოხვეჭილი ქულებით გრანტ ფოქსს გადაასწრო. თუმცა ის შეხვედრა „შავებმა" მაინც წააგეს (23:24), რაც ძალიან მწარედ დაამახსოვრდა კრონფელდს. „ასე დამარცხება მეტად დასანანია. იმ თამაშში 56-ე წუთზე შესაცვლელი გავხდი, თუმცა იმედი მაქვს, სამი ერის პირველობას მაინც მოვიგებთ. მერე კი ერთ-ერთ ნახევარფინალში წაგებისთვისაც ვიძიებ შურს... კარიერა გამარჯვებით უნდა დავასრულო" — თქვა კრონფელდმა, „ერთ-ერთ ნახევარფინალში" კი შარშან მსოფლიოს თასზე საფრანგეთისგან ნაწვნევი ისტორიული მარცხი იგულისხმება.

**გაიოზ თალაკვაძე**



ჯეისონ ლითლი



ტიმ ჰორანი

# ავსტრალიური მარგალიტები ევროპაში ძვირად ფასობენ

## ტიმ ჰორანმა და ჯეისონ ლითლმა ვოლაბებს ხელი დაუქნიეს

ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ტრავმების გადამკიდე ტიმ ჰორანი ავსტრალიის ნაკრებს ემშვიდობება. მომავალ სეზონში ის „სარასენსის" ღირსებასლა დაიცავს და ინგლისის ჩემპიონატში ითამაშებს. იქ ჰორანს, ავსტრალიის ნაკრების უკანა ხაზში თავისი პარტნიორი ჯეისონ ლითლიც ეყოლება ერთ-ერთ მეტოქედ. ლითლი „გლოუსესტერში" მიიწვიეს, ნაკრებს ისიც დაემშვიდობება ევროპასა და ავსტრალიას შორის დიდი მანძილის გამო.

ავსტრალიური რაგბის სამყარო ლამის გლოვაშია, „ვოლაბები" სამი ერის პირველობის გასრულების შემდეგ თავიანთი ორი „მარგალიტის" გარეშე დარჩებიან, რადგან კარიერის გაგრძელება ევროპაში სურვეს. ბებერ კონტინენტზე ავსტრალიელ მორაგბეებს უფრო მეტ ფულს გადაუხდიან. ჰორანს ყვითელი კვართით უკვე ველარ იხილავენ, ლითლის გედის სიმღერა კი 26 აგვისტოს სამხრეთ აფრიკასთან მატჩი იქნება. არადა, ორივე ეს მორაგბე ავსტრალიისთვის უდიდესი ძალა იყო.

„მორჩა, ნაკრებს თავს ვანებებ. კიდევ ოთხი-ხუთი კვირა ვარჯიშიც არ შემიძლია. ერთხელაც ვითამაშებდი „ვოლაბებში", მაგრამ ეს შეუძლებელია" — თქვა ჰორანმა, რომელიც 17 ივნისს არგენტინასთან ტესტისას დაშავდა. ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი როდ მაკკუინი მას ძლიერ აფასებს და სამხრეთ აფრიკაში მისი წაყვანაც უნდოდა, თუმცა ჰორანმა სათადარიგოთა სკამზე ტყუილად ჯდომა არ ისურვა.

ჰორანის და ლითლის სპორტული კარიერა საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს. ორივე თითქმის ერთდროულად მიიწვიეს „ვოლაბებში" 1989 წელს (ჰორანი აგვისტოში, ლითლი დეკემბერში). მათ პირველად თავი იმავე წელს, სტრასბურში საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიჩინეს. ორივე, ავსტრალიის ახლანდელ კაპიტან ჯონ ილზთან ერთად, მსოფლიოს თასის ორგზის (1991 და 99 წლები) მფლობელია.

ჰორანს 80 კეპი დაუგროვდა, ლითლს თავისი ქვეყნის ღირსება 74-ჯერ დაუცავს. პირველს 30 ლელო აქვს გატანილი, მეორეს კი — 21. ისინი 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში თანაგუნდელები იყვნენ.

ახლა კი „სარასენსისა" და „გლოუსესტერის" მატჩში ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ, თუმცა თამაშის დამთავრების შემდეგ, ალბათ, ერთად წავლენ რომელიმე პაბში და კათხა ლუდის წრუპვისას სანაკრებო წარსულსაც გაიხსენებენ.

**გაგი გურული**

# ესაა სა!

## სკადი სამ სამ სეტში ააფეთქა



ლინდსი დევენპორტი



ანა კურნიკოვა

**ინდიანაპოლისი. ინდიანა. RCA-ს პირველობა. საპრიზო 800 ათასი $**

მეორე წრეში ერთი მატჩი სხვებზე გამორჩეული იყო: ბადის სხადასხვა მხარეს ტორონტოს „მასტერსის“ ფინალისტები — მარატ საფინი და ჰარელ ლევი იდგნენ. რუსმა ებრაელს მათი კარიერის მეორე შეხვედრაც მოუგო — 6:4, 6:2. ანგარიში ცხადად უჩვენებს, რომ საფინს დიდად უნერვიულია, პირველი სეტის თავისი გეიმი ერთხელ კი წააგო, მაგრამ საერთო ჯამში 68 წუთი მოანდომა საქმის სათავისოდ დასრულებას. განთესილებიდან არავინ გავარდნილა. გუსტავო კუერტენმა პირველ სეტში ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯთან 5:7 კი წაიბორძიკა, მაგრამ შემდეგ თამაში გამოაკეთა და ორი პარტია 6:4 და 6:1 მოიგო. აქაურობის შარშანდელმა ჩემპიონმა, ეკვადორელმა ნიკოლას ლაპენტიმ კანადელ სებასტიან ლერუს მეორე სეტი დაუთმო და საწყისი და საბოლოო მოიგო: 6:3, 3:6, 6:2. ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა ავსტრიელ სტეფან კუბეკთან 44 წუთში 6:1, 6:0 გაისეირნა და წინა კვირას ერთი ტურნირის უკვე მომგებმა ტომას ენკვისტმაც გვარიანი გაწამაწიით შემდეგ წრეში გასვლა შეძლო. მას ფრანგი ლიონელ რუ ეთამაშებოდა და ერთობ გაუჭირა საქმე. პირველ სეტში, ენკვისტმა 6:3 იმარჯვა, მეორეში კი საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ კი შვედს ფრანგმა ბლომად ოფლი აღვრევინა.

**მეორე წრე. ტომას ენკვისტი (შვედეთი, 4) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:4); იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 9) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:4, 6:2; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა, 10) — პოლ ანრი მერიუ (საფრანგეთი) 6:2, 1:0 (ტრავმა); ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — მიხაელ კრატოჩვილი (შვეიცარია) 6:1, 6:7 (6:8), 6:4; კარლოს მოია (ესპანეთი) — ტოდ მარტინი (აშშ, 14) 6:4, 6:4; სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:0, 7:6 (9:7); კარიმ ალამი (მაროკო) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:4, 6:3; ტეილორ დენტი (აშშ) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) (ნოვაკი ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა); ჯანლუკა პოცი (იტალია) — ჯეიმს სეკულოვი (ავსტრალია) 6:2, 6:4**

**ვაშინგტონი. „ლეჯ მეისონ ტენის კლასიკ.“ საპრიზო 800 ათასი $**

აშშ-ს დედაქალაქში, პროვინციისგან განსხვავებით, მეორე წრის ერთ-ერთ მატჩში სენსაცია გამოცხვა. მეოთხედ განთესილმა, ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა საკმაოდ უცნობ ბრაზილიელთან, ანდრე სასთან წააგო. სამხრეთამერიკელმა 81 წუთის მანძილზე გაგრძელებული მატჩი სამ სეტში 6:1, 7:6 (12:10) მოიგო და ეს იმ დროს, როცა „სკადმა“ 14 ქულა მარტო ეისებით მიითვალა. პირველი სეტი ისე მალე მორჩა, ბრაზილიელი ეგონებოდა კაცს განთესილი და ყუმბარისებური მოწოდების პატრონი ოზი კიდევ ვინმე მოყვარული. მეორეში მარკმა ხელი გამოიღო (ეისების მეტი წილი მეორე სეტში ჩააგდო), მაგრამ არც ბრაზილიელმა ინდომა ზურგის ჩვენება და მეტად დაძაბული ტაი-ბრეიკი მოიგო. 23 წლის სამხრეთელმა ამ გამარჯვებას თავის სამწლიან კარიერაში უმნიშვნელოვანესი უწოდა, ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთელი დავამარცხეო.

მეხუთედ განთესილ ჟან მაიკლ გემბილს ფილიპუსისზე უფრო გაუმართლა. 136 წუთი ეჯაჯგურა ამერიკელ ალექს ობრაიენს, პირველი სეტი მოუგო და მეორე დაუთმო, ხოლო მესამის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში 6:5-სა და თავის მოწოდებაზე ზედიზედ ოთხი ეისი ჩაუგდო და თამაში 6:3, 5:7, 7:5 მოიგო. გემბილის ეისების საერთო ოდენობაც ყურადღებას იპყრობს — 23 მისი მოწოდების დახვედრა ობრაიენმა უნაყოფოდ სცადა.

სხვა რამ გამოსარჩევი ვაშინგტონში არაფერი მომხდარა.

**მეორე წრე. ნიკოლას კიფერი (გერმანია, 3) — გილერმო კორია (არგენტინა) 4:6, 6:3, 6:2; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი, 9) — კრისტიან კაპალიკი (ბოსნია) 3:6, 7:5, 6:3; ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი, 10) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:5, 6:3; დავიდ პრინოზილი (გერმანია, 14) — ლორენცო ტილემანი (იტალია) 6:1, 5:7, 6:3; ენდი როდიკი (აშშ) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 4:6, 6:3, 6:3; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:5, 6:3; კრისტოფ როკუსი (ბელგია) — ენდრიუ ილიე (ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:4; ლორენცო მანტა (შვეიცარია) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:4, 1:6, 6:3; პარადორნ შრიჩაპანი (ტაილანდი) — ბარი კოვანი (გერმანია) 6:4, 6:1.**

**მონრეალი. „დიუმურიე ოუფენ.“ საპრიზო 1 080 ათასი $**

ლინდსი დევენპორტმა მეორე წრეში, კლასიფიკაციით 72-ე იუსტინ ჰენინის მოსარევად ბევრი იწვალა და რომ არა მეორე სეტის წარმატებული ტაი-ბრეიკი, კიდევ ერთ სენსაციურ მატჩზე მოგვიწევდა ლაპარაკი. ნახევარი წლის მანძილზე ტრავმათა გადამკიდე დიდ ჩოგბურთს მოწყვეტილმა ჰენანმა პირველ სეტში ჩინებულადააწყო საქმე, ბელგიელის მძლავრი დარტყმები სიზუსტითაც უმაღლესი ხარისხისანი იყვნენ, ამიტომ სეტი ევროპელმა 6:3 მოიგო და მეორეშიც რიგიანად ითამაშა. მხოლოდ ტაი-ბრეიკზე დაიბრუნა მსუბუქი ტრავმისგან აკოჭლებულმა დევენპორტმა ძველი რიხი, 7:3 მოიგო, მესამე სეტში კი უკვე აღარ გასჭირვებია, ჰენინის საბრძოლო რესურსები ამოწურულიყო. პარალელურად სერენა უილიამსმა არცთუ სუსტი მეტოქე, შვეიცარიელი პატი შნიდერი თავისებურად გადათელა 6:1, 6:2, ხოლო ანა კურნიკოვა[...] ცოტა უფრო ძნელად, ბელგიელი საბ[...] ნე აპელმანსი შეიწირა — 6:4, 6:3. ახ[...] უილიამსი და კურნიკოვა ერთმანე[...] უნდა შეებან და ვიცით, თქვენი პრო[...] ნოზი შავი გოგოს გამარჯვება იქნე[...] ჩვენ კი არას ვიწინასწარმეტყველ[...] ამას წინათ კურნიკოვამ დევენპორტ[...] მოუგო და ის უილიამსზე ნაკლები რო[...] დია, კლასიფიკაციით მით უმეტეს.

**მეორე წრე. ჯენიფერ კაპრიატი (აშ[...] 13) — ვირხინია რუანო პასკუალი (ეს[...]პანეთი) 3:6, 6:1, 6:4; სანდრინ ტესტ[...] (საფრანგეთი, 8) — რუქსანდრა დრ[...]გომირი (რუმინეთი) 3:6, 7:5, 6:2; კვეტ[...] პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) — ჯანა ნეჯ[...]დლი (კანადა) 6:3, 6:0; მაგდალენა მ[...]ლეევა (ბულგარეთი) — ამანდა კუ[...]ცერი (სამხრეთ აფრიკა, 9) 6:3, 6:2; ნ[...]ლი ალარი (საფრანგეთი, 10) — სანდ[...]ნაჩუკი (იუგოსლავია) 6:3, 7:6 (7:3); ს[...]ლვია ტალაჯა (ხორვატია) — ნატა[...]დეში (საფრანგეთი) 7:5, 6:4; მარტი[...] ჰინგისი (შვეიცარია, 1) — ნადეჟდა პ[...]ტროვა (რუსეთი) 6:1, 6:3**



# საბრალონი

## გაიფიქრა ვიქტორ ჰიუგომ და პელოტონს დაელოდა

**ესპანეთში** მიმდინარე „გალისიის ტურში“ ესპანელი მრბოლების ბატონობას ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. არგენტინელი მარტინ გარიდოს შემდეგ, რომელმაც პირველი ეტაპი მოიგო, ყაზახმა ანდრეი ტეტერიუკმა გამოიჩინა თავი. „ლიკიგასის“ წევრმა მეორე ეტაპზე წარმატებული შეტევა განახორციელა, პელოტონს გაექცა და ფინიშის ხაზიც მარტოობაში გადაკვეთა სენ ჟაკ დე კომპოსტელაში.

მთელი დღის განმავლობაში იერიშები საკმაო რაოდენობით იყო, მაგრამ სასურველი შედეგი არც ერთს მოჰყოლია. ტეტერიუკმა კი ბედი ფინიშამდე ოთხიოდე კილომეტრით ადრე სცადა და მეორე ადგილზე გასულ დავიდ ეჩებერიას 31 წამიც მოუგო. ყაზახმა მრბოლმა ამ წარმატებით ლიდერის ყვითელი მაისურაც მოირგო და იგი მომდევნო ეტაპზეც არ დაუთმია.

მესამე ეტაპი ოთხშაბათს „ონსეს“ ბასკმა წევრმა დავიდ ეჩებერიამ მოიგო. გუშინ გაცნობეთ, რომ ამ ესპანური გუნდიდან მისი ერთ-ერთი ლიდერი ლორან ჟალაბერი მიდის. დღეს დავამატებთ, რომ „ონსეს“ დატოვება ეჩებერიასაც გადაუწყვეტია. იგი სავარაუდოდ „ესკალტელში“ გადავა, სადაც უკვე თავად იქნება გუნდის ლიდერი და სხვების გრეგარობა აღარ დასჭირდება. „გალისიის ტურში“ კი მან სპრინტში იმარჯვა, როცა პელოტონმა მთლიანობაში უწია ფონსაგრადას, ოღონდ ფინიშამდე რამდენიმე ნაწილად მაინც დაიყო. საერთო ჩათვლაში ეჩებერია ტეტერიუკს 13 წამით წამოეწია.

მანამდე კარგა ხნის მანძილზე რბოლას კოლუმბიელი ვიქტორ ჰიუგო პენია ლიდერობდა, ვის მამასაც ფრანგი კლასიკოსი მწერალი დიდად ჰყვარებია და ბიჭისთვისაც მის პატივსაცემად დაურქმევია ვიქტორ ჰიუგო. „საბრალონისა“ და სხვა შედევრების ავტორის სეხნიას პელოტონი გზის ბოლო სიძნელე, სერედოს მთის დასაწყისში მიეწია და იმის მერე მარტოდ გაქცევა ველარავინ მოახერხა.

**გაიოზ თალაკვაძე**

**გალისიის ტური**

**მეორე ეტაპი**

ფეროლი — სენ ჟაკ დე კომპოსტელა, 161 კმ

1. ანდრეი ტეტერიუკი (ყაზახეთი, ლიკიგასი) — 3სთ 45წთ 42წმ
2. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ონსე) — +31წმ
3. იგორ პუგაჩი (მაკედონია, საეკო)

**მესამე ეტაპი**

სენ ჟაკ დე კომპოსტელა — ფონსაგრადა, 165 კმ

1. დევიდ ეჩებერია — 4სთ 06წთ 27წმ
2. დევიდ კლინჯერი (აშშ, ფესტინა)
3. იგორ პუგაჩი

**საერთო ჩათვლა**

1. ანდრეი ტეტერიუკი — 10სთ 05წთ 48წმ
2. დავიდ ეჩებერია — +17
3. იგორ პუგაჩი — +26
4. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +27
5. ფერნანდო ესკარტინი — +28



ანდრეი ტეტერიუკი

კრივი

# გიორგი მეექვსე

## კანდელაკს ევრორეიტინგში მეექვსე ადგილი მიუჩინეს


გიორგი კანდელაკი

**გიორგი კანდელაკმა** პროფესიულ რინგზე 16 შეხვედრიდან 11 ნოკაუტით მოიგო. ბოლოს, 13 ივლისს, ლონდონში, რვა რაუნდიან ჩხუბში, მას მაპინძელი ჰარი სინიორი შემოელახა. მართლია, ვარიანელმა მოკრივემ ეს ორთაბრძოლა ქულებით მოიგო, მაგრამ ამ გამარჯვებამ ევროპის პროფესიული კრივის ფედერაციის რეიტინგში ხუთი საფეხურით აამაღლა და ახლა მეექვსე ადგილზეა. ეს ამბავი პროფესიული კრივის ევროპელმა მამებმა ამ დღეებში ფაქსით აცნობეს ქართველ კოლეგებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაცია ახლახან გაწევრიანდა ევროპულ სტრუქტურაში, თუმცა ზემოთნახსენებ რეიტინგში კანდელაკსა და გოგოლაძეს ქულები მანამდეც ერიცხებოდათ, რადგან ბულგარეთის ლიცენზიით იბრძოდნენ. ბალკანელები კი ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები არიან.

ამ ნახტომით კანდელაკი ევროპის ჩემპიონის გვირგვინს საგრძნობლად მიუახლოვდა. არა, რეიტინგის სათავეში მოქცევა ამ ჯილდოს ავტომატურ დაპატრონებას სულაც არ ნიშნავს. კონტინენტის ჩემპიონის ტიტულისთვის რომ პირველ-მეორეადგილოსნებმა უნდა იბრძოლონ, მაგრამ გიორგის კონკურენტთა რიცხვი წინა რეიტინგთან შედარებით (რომელშიც მეთერთმეტე იყო) მნიშვნელოვნად შეუმცირდა.

თავად გიორგი კანდელაკი ახლა ვარიანშია, 25 აგვისტოს კი ბულგარეთში გაემგზავრება, სადაც ერთკვირიან სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ისევ სამშობლოში დაბრუნდება. 7-8 სექტემბერს ვარიანში მოყვარულ მოკრივეთა ტურნირი ტარდება პროფესიონალებში გადასვლის მსურველთა შორის. როგორც საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ ყანჩაველმა გვითხრა, მსურველი ჯერჯერობით 40 მოკრივეა. პროფესიონალები თურმე აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს სამოყვარულო კრივის ფედერაციასთან და მათი თანხმობის გარეშე თავისთან არავის წაიყვანენ.

დავუბრუნდეთ ისევ კანდელაკს. იგი ამ ტურნირის დამთავრებისთანავე, 9 აგვისტოს, ლონდონში გაფრინდება, ისევ ლენოქს ლუისის კოლეჯში, სადაც 6 ოქტომბერს თბილისში გასამართი მორიგი სარეიტინგო ჩხუბისთვის მოემზადება. მოკრივე და მთელი მისი ბანაკი თბილისში 2 ოქტომბერს დაბრუნდება.

მეტოქეს რაც შეეხება, მის ვინაობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ყანჩაველისგან შევიტყვეთ, რომ გიორგი შეიძლება ამერიკელთან აჩხუბონ. ყოველ შემთხვევაში კანდელაკის მენეჯერი ფრანკ მელოუნი ახლა სწორედ ოკეანის გაღმა იმყოფება ამ საკითხზე სათათბიროდ.

**ირაკლი თამაძე**

მძლეოსნობა



ნიურკა მონტალვო

# ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია

## შეახსენეს კუბელებმა ნიურკა მონტალვოს და სიდნეის კარი მიუკეტეს

**გადაწყდა:** ნიურკა მონტალვო სიდნეის ოლიმპიადაზე არ იქნება! გაესპანელება კუბელ მძლეოსანს ძვირად დაუჯდა, თვისტომებმა კომუნისტური სამშობლოს ღალატი არ აპატიეს და ავსტრალიაში წასვლის ნება არ დართეს. კანონი კუნძულელთა მხარესაა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებით, მოქალაქეობის შეცვლიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეუძლია სპორტსმენს ახალი სამშობლოს სახელით ოლიმპიადაზე გამოსვლა, მონტალვომ კი თავისი მომავალი ესპანელი მეუღლე მხოლოდ 98-ში, აეროპორტში გაიცნო. გამონაკლისის წესით ოლიმპიადაზე სპორტსმენის დაშვება მაშინ მოხერხდებოდა, ამის კეთილი ნება თავად კუბელებს რომ გამოეთქვათ, მაგრამ ისინი, როგორც აქამდე გაცნობეთ, კარგა ხანია, ილრინებიან და მონტალვო სამხედრო დამნაშავის რანგში აჰყავთ. ფედერაციების დონეზე ესპანელთა შუამდგომლობა კუბელებმა უმალ „დახიეს“, შემდეგ კი უფრო პატივცემული გვამებიც ჩაერთვნენ საქმეში. ესპანეთის სპორტის მინისტრმა, ხუან ანტონიო გომეს ანგულომ თავისი კუბელი კოლეგა შეაწუხა და ერთხანს იჩურჩულეს, მაგრამ არაფერი: ანგულომ მასმედიას სამგლოვიარო სახით განუცხადა, ამაოა ყველაფერიო და საქმეს ოფიციალურად წერტილი დაუსვა. მონტალვოს ხალხი ცალკე სოკ-შიც გაქანდა, მაგრამ ხუან ანტონიო სამარანჩმა, ესპანელმა მარკიზმა სანუგეშო ვერაფერი თქვა. „საქმემ უკვე გამოკვეთილი პოლიტიკური ელფერი მიიღო. მე ვერ ჩავერევი“ — განაცხადა მან, ცხადია გასაგებია, წლობით ნაშენები იმიჯის საფრთხეში ჩაგდება არავის უნდა, სამარანჩი თავისი ორგანიზაციის წესდებას ძნელად თუ დაარღვევს.

მონტალვოს არაფერი და ასევე ექსკუბელ ესპანელს, წყალბურთელ ივან პერესს საყვედური ერგება. როცა სპორტსმენი კაცი მოქალაქეობას იცვლი, ოლიმპიადა როგორ უნდა დაივიწყო! გაეკეთებინა თავისი საქმე 42 დღით ადრე და სექტემბერში სიდნეიში წავიდოდა... მისი სამწლიანი „გარდამავალი“ პერიოდი ოქტომბრის ბოლოს იწურება.

# იჩქარეთ, ბატონო მოსამართლენო, ოლიმპიადა მოდის!

**გუშინწინ** მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) საარბიტრაჟო სასამართლომ მონაკოში მორიგი საქმის გარჩევა დაიწყო. რიგში ბრიტანელ მძლეოსანთა სამეული დგას — 200 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონი დაგ უოლკერი, 100 მეტრზე ოლიმპიური ჩემპიონი ლინფორდ კრისტი და თარჯიმრბენი გერი კედოგანი. მათ სადოპინგე ცოდვების ჩადენას აბრალებენ და ორწლიანი დისკვალიფიკაციით ემუქრებიან. კრისტისა და კედოგანისთვის ეს ნაკლები ტრაგედია იქნება. მათი დრო წავიდა და კრისტიმ მწვრთნელობას მიჰყო ხელი, უოლკერი კი უფრო ცოდოა, ჯერ ახალგაზრდაა და ერთ ხანს კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. შესაბამისად, გერმანელი კრისტოფ ვედერის თავკაცობით მიმდინარე საქმის გარჩევას მხოლოდ ეს უკანასკნელი ესწრება. უოლკერმა ამას წინათ სასამართლოსგან ტურნირებში გამოსვლის დასტური მიიღო, მაგრამ ბრიტანულ „ტრაიელსზე“ არ ურბენია, ოლიმპიადამდე ცოტა დროა და ჩემს თავში დარწმუნებული არა ვარ, სიდნეიმდე ფორმის სრულად აღდგენას ვერ შევძლებო. საბოლოო განაჩენის გამოტანის ვადა 14 დღეა, მაგრამ ბატონ მოსამართლეებს თავად IAAF-მა სთხოვა, ოლიმპიდა კარზეა მომდგარი და თუ ღმერთი გწამთ, მოუჩქარეთო. იქნებ სულაც ამ შაბათს უოლკერის ბედი გაირკვეს. მისმა ადვოკატებმა სასამართლოს უკვე სრული გამამართლებელი არგუმენტაცია წარუდგინეს, დანარჩენებისანი კი ჯერაც აგრძელებენ თავიანთი კლიენტების უმანკოების მტკიცებას.

ისე, კრისტის პროცესისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა მართებდა. ორწლიანი დისკვალიფიკაცია მის სამწვრთნელო კარიერაზეც სერიოზულად იმოქმედებს.

**დავით გულუა**

ავტორბოლა





ჯენსონ ბატონი „უილიამსიდან“ მიდის, ოლივიე პანი BAR-ში გაიქცა

# ერთი ტონი: ბატონი და ბენეტონი

**ჩემპიონატის** ფინიშის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო ნაირნაირი ინფორმაცია ვრცელდება პილოტების სავარაუდო, თუ უკვე რეალურად გაფორმებული კონტრაქტების შესახებ.

„მაკლარენისა“ და „ფერარის“ შემადგენლობები გაისად უცვლელი იქნება. დანარჩენ ათ გუნდში კი თითო ცვლილება მაინცაა მოსალოდნელი.

წლევანდელი სეზონის აღმოჩენა, 20 წლის ჯენსონ ბატონი დებიუტანტის ჯვალობაზე ჩინებულად ასპარეზობს. უკვე თავის მეორე რბოლაში ქულის მოპოვების შემდეგ საკუთარ ყულაბას კიდევ შვიდი ქულა შეჰმატა და სატურნირო ცხრილშიც საკმაოდ მაღალ მერვე ადგილზე დგას. შედარებისთვის: სხვა ორი დებიუტანტი ნიკ ჰაიდფელდი და გასტონ მაცაკანე, აგრეთვე ჟან ალეზი, ჯონი ჰერბერტი, ალექსანდრ ვურცი, პედრო დინიცი და მარკ ჯენე 12 ეტაპის შემდეგ ჯერაც მშრალზე არიან, ანუ უქულოდ დარჩნენ.

ასეთი წარმატებული სეზონის მიუხედავად, ბატონს მაინც მოუწევს „უილიამსის“ დატოვება, მიზეზი კი ამერიკული „კარტის“ შარშანდელი ჩემპიონის, 24 წლის ხუან პაბლო მონტოიას ევროპაში გადმობარგება გახდა. ფრენკ უილიამსს ნიჭიერ ბრიტანელ ყმაწვილზე მეტად ოკეანისგაღმა დროებით განათხოვრებული კოლუმბიელის უფრო ეიმედება, თუმცა, ცხადია, უსაქმოდ არც ის დარჩება. როგორც გუშინ გაირკვა, ბატონზე რამდენიმე მონადირეს „ბენეტონმა“ აჯობა და ჯენსონიც მომდევნო ორ ჩემპიონატში ფლავიო ბრიატორეს გუნდის ღირსებას დაიცავს. უკვე ისიც გაცხადდა, თუ ვის შეელევა იტალიელი ბოსი — როგორც მოსალოდნელი იყო, უიღბლო აღმოჩნდა ავსტრიელი ალექს ვურცი, რომელსაც წლეულს ჯერ ქულაც ვერ მოუპოვებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბატონს ჯანკარლო ფიზიკელასთან ერთად მოუწევს „ბენეტონის“ ძველი დიდების დასაბრუნებლად ბრძოლა. „გუნდიც მშვენიერია და ფიზიკელაც დიდებული მრბოლია. ასე რომ, წინ იმედით ვიყურები და საკუთარი მომავალი ნათელ ფერებში მესახება“ — უხარია ბატონს.

საკითხი უკვე გადაწყვეტილი კია, მაგრამ სერ ფრენკი ოფიციალური განცხადების გაკეთებას მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, ინდიანაპოლისში აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშების დღეებში აპირებს.

კიდევ ერთი გარიგების შესახებ.

„მაკლარენის“ლევანდელმა ტესტ-პილოტმა, 33 წლის ოლივიე პანიმ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი BAR-თან. ფრანგი მრბოლი, რომელიც შარშან ლეგენდარული თანამემამულის ალენ პროსტის საჯინიბოს წევრი გახლდათ, თავის ახალ ბრიტანულ-ამერიკულ გუნდში ბრაზილიელ რიკარდო ზონტას შეცვლის. 24 წლის სამხრეთამერიკელმა, ვისაც მომავალ სენასაც კი უწოდებდნენ, აშკარად ვერ გაამართლა იმედები, ფორმულა 3000-ში ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ სამეფო რბოლებში თავი ვერაფრით გამოიჩინა და 25 ეტაპზე ერთადერთი ქულის შოვნა შეძლო. ერთი სიტყვით, ზონტას „მოხსნა“ მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. პანი კი თავისი ტრანსფერით აღტაცებას ვერ მალავს: „ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ერთი წლის მერე დავუბრუნდები რბოლებს. მართალია, „მაკლარენში“ ჩინებული პირობები მაქვს და არც რონ დენისს უნდა ჩემი გაშვება, მაგრამ ასეთ ბრწყინვალე გუნდში ტესტ-პილოტობასაც კი, ცხადია, მრბოლობა მირჩევნია“.

ოლივიეს დებიუტი 1994 წელს „ლიჟიეში“ (დღევანდელი „პროსტი“) შედგა. მართალია, 91 რბოლიდან მხოლოდ ერთი მოიგო, მაგრამ როგორი — ყველასგან გამორჩეული და ყველასთვის საოცნებო მონაკოს დიდი პრიზი (1996). BAR-ში მისი მეწყვილე 1997 წლის ჩემპიონი, კანადელი ჟაკ ვილნევი იქნება.

**ირაკლი ნიკოლაძე**



# აბორიგენები

ერთი სუმისტივით გასუქებული და ორიც ჩვეულებრივი აბორიგენი, სიდნეის ბოტანიკურ ბაღში 150 წლიან ლეღვის ხესთან ჩამსხდარან, დღედღეზე სიდნეის ოლიმპიადის თანმხლები ხელოვნების ფესტივალი უნდა დაიწყოს და მერე კი მორჩა დასვენება, ძველებურ როგვას რომ მოჰყვებიან (მოცეკვავენი არიან), 30 სექტემბრამდე ვერ გაჩერდებიან...

## იტალია

თასი. II ტური

კიევო 2:1 ჯენცა
პიაჩენცა 3:0 ვიტერბეზე
სამპდორია 2:1 კროტონე
ემპოლი 2:2 ფერმანა
პისტოიეზე 1:4 აველინო
ჩიტადელა 0:1 სალერნიტანა
კალიარი 2:2 ნაპოლი
ტორინო 2:1 ჩეზენა
ტერნანა 1:0 ვარეზე
ვენეცია 2:1 სავოია
სიენა 2:2 პესკარა
ანკონა 2:1 პიზა
კოზენცა 2:0 ჯენოა
ბრეშელო 0:1 ბრეშა
ტრევიზო 2:1 ალძანო



# ეს ჩემი ფეხია!

*ჯონ იდენი დაკარგული ფეხის მექანიკურ იმიტაციას იმედით უჭვრეტ... არც ადრეულ პროტეზებს უღალატნიათ მისთვის, წინა პარაოლიმპიადებზე ოქ... ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოუტანეს, მაგრამ დრო თავისას ითხოვ... და იდენიც წინ მიიწევს. სიდნეის პარაოლიმპიადაზე (18-29 ოქტომბერს) იგი 100 მეტრზე ირბენს და ბადროს გასტყორცნის.*

# დააღე პირი და თქვი — ააა!



**ფოტოზე** აღბეჭდილ კაცს არად სჭირდება ცნობილი სამედიცინო ბრძანება: „აბა, დააღე პირი და თქვი — ააა!“ მისი პირი ისედაც საკმაოზეა დაღებული და იქიდან ამოფრქვეული ბგერებიდან ერთობ მძაფრი უნდა იყოს, მაგალითად ასეთი: ააააა!!! მამაკაცი 500 კუბურსანტიმეტრძრავიან მოტოციკლებში მრბოლი კევინ შვარცია (მსოფლიოს ჩემპიონი), ქალი, მის მტკივან ფეხს ყინულით რომ აამებს, ვინმე რობინ დიქსონი. ამბავი კი ელის სპრინგში ხდება.

# აი, ქალი!



**წლევანდელ** ოლიმპიადაზე კორეული ტაეკვანდოს დებიუტი შედგება, მას აღრინდელზე მეტად დააფასებენ და მიმდევრებიც მოუმრავლდება. ერთი მდ... დრი ტაეკვანდოს სამშობლოდან, ფიცრებს ქვიშის ნაკეთობასავით რომ ფშვნის, ოლიმპიადაზეც გამოვა, ამიტომ მისი გვარი რად არ გაგვაგებინეს, გვიკვირს. მაგარი ვინმე კი ჩანს, მტერს მოხვდა მისი მოქნეული... ფეხი.



# ფანი და ლუკა

*ისტორიის სიღრმეებიდან (1224 წ) მიმდინარე სიენას პალიოს დოღი, წლეულს ლუკა მინისინიმ მოიგო „ლეოკორნო პარიშის“ გუნდიდან. ტრიუმფატორი საპატიო წრის შემოვლისასაა ფოტოზე აღბეჭდილი, ხოლო ქალბატონი, რომლის მხიარული წივილი საბედნიეროდ ჩვენს ყურთასმენას ვერ აღწევს, მისი მხურვალე ქომაგია.*



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge